საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 19 დეკემბერი. 2018 წ. №257 (8658) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ძალადობის მსხვერპლი ჟურნალისტები

ჟურნალისტების მიმართ ძალადობამ ამ წელს უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია.

ამ დროისთვის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მოკლულია 80 ჟურნალისტი, ხოლო დაკავებული — 358. აღნიშნული ინფორმაცია ასახული უფლებადამცველი ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს გარეშეს“ კვლევაში. **„80 დაღუპული, 358 დაკავებული — ჟურნალისტების მიმართ ძალადებამ ამ წელს უპრეცენდენტო მასშტაბებს მიაღწია“,** — განაცხადა ორგანიზაცია „რეპორტიორების საზღვრების გარეშეს“ ხელმძღვანელმა ქრისტოფ დელუარმა.

„ჟურნალისტების მიმართ სიძულვილი ღიად გამოვლინდა არაკეთილსინდისიერი პოლიტიკოსების, რელიგიური ლიდერების და ბიზნესმენების მხრიდან“, — დასძინა მან.

მართალია, ორგანიზაცია პირდაპირ არ მიუთითებს დონალდ ტრამპის დამოკიდებულებას ჟურნალისტების მიმართ, რომელიც მათ „ხალხის მტრებს“ უწოდებს, მაგრამ დელუარის თქმით, სიძულვილის გამოხატვა ძალადობის ლეგიტიმაციას ახდენს. ჟურნალისტებისთვის ყველაზე მეტად საშიში ქვეყანა ავღანეთია, სადაც 15 ჟურნალისტია მოკლული.

ბრიტანეთთან სავიზო პირობები უნდა გამარტივდეს

ჩვენი ძალისხმევა მიმართულია იმისკენ, **რომ ევროკავშირში თავისუფალი მიმოსვლის ფონზე, მივაღწიოთ სავიზო პირობების გამარტივებას დიდ ბრიტანეთთან,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს დიდ ბრიტანეთში საქართველოს ელჩმა თამარ ბერუჩაშვილმა განუცხადა. მისი თქმით, ეს არ არის ადვილი ამოცანა, მით უმეტეს ბრექსიტის ფონზე, მაგრამ ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

გიორგი თავაძე

6-7

მესამე გზა...

რა დაუბარა ჩერჩილმა მდიდრებს...

ვინც ღარიბს აძლევს, არ გაღარიბდება!

კრიმინალი: 5

ციფრები ღრიალებენ!

საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ 2024 წელს გვექნება 3

არია ვეისბორტი: 4

საქართველო ინოვაციების ქვეყანაა!

ევროკავშირი გამოწვევების პირისპირ

ევროკავშირში **გაფართოების საკითხის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთვის სიგნალია, რომ უნდა გავაგრძელოთ ამ კუთხით მუშაობა,** — ამის შესახებ ჟურნალისტებს ევროკავშირში საქართველოს ელჩმა ნატალი საბანაძემ განუცხადა.

მისი თქმით, ევროკავშირი გამოწვევების წინაშე დგას და ის, რაც შიგნით ხდება, თავისთავად საქართველოსაც ეხება.

„ეს ეხება ბალკანეთს, მაგრამ ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია. თემა რამდენიმე წელი გაყინული იყო. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეს საკითხი, რადგან გვაძლევს იმედს, რომ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა გაგრძელდება. ჯერი არის ბალკანეთზე. გაფართოება არ არის მარტივი პროცესი, რადგან ბალკანეთის ქვეყნებშიც ზოგი წინ არის, ზოგი უკან და თავად ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებიც გაყოფილები არიან მხარდაჭერაზე. ბალკანეთის მიმართ დაანონსებულია თარიღი, 2025 წელი. ამ თარიღისთვის ბალკანეთის ქვეყნები თუ მზად იქნებიან, ევროკავშირიც მზად იქნება მისაღებად. ჩვენ ჯერ ეს თემა არ გვეხება, მაგრამ გაფართოების საკითხის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენთვის სიგნალია, რომ უნდა გავაგრძელოთ ამ კუთხით მუშაობა. რაღაც მომენტში, ალბათ, ჩვენთან მიმართებაშიც დადგება თარიღის საკითხიც, თუმცა ჯერ ეს მომწიფებული არ არის“, — განაცხადა საბანაძემ.

რატომ ვერ გახდა ირანი საქართველოს მეგობარი?! 8

როგორ ეხმარებოდა კრემლი ტრამპს გამარჯვებაში?



გამოიცა 9

ზურაბ წერეთლის წიგნი-ალბომი

„საუბრები გიორგი ჩიტაიასთან“

100 წლის გაზეთი

თქვენს დახმარებას ელის!

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

ირაკლი კობახიძე ესტონეთის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, რომელიც ვიზიტად ესტონეთში იმყოფება, ქვეყნის პრეზიდენტ კერსტი კალიულაიდს შეხვდა.

საუბრის მთავარი თემები ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობა, ასევე, ორ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები და საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები იყო.

„ესტონეთის პრეზიდენტს საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადეთ. იგი, პიროვნულად, ჩვენი ქვეყნის ძალიან დიდი მხარდამჭერია. ვისაუბრეთ ორმხრივი თანამშრომლობის სხვადასხვა ასპექტზე — როგორც პოლიტიკურ თანამშრომლობაზე, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილეთ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, საქართველოში ესტონელი ბიზნეს პარტნიორების ეკონომიკურ აქტივობაზე, რაც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა. საუბარი გვქონდა იმ მოვლენებზე, რაც ჩვენს ქვეყნებში ვითარდება. დეტალურად ვისაუბრეთ ჩვენს საპრეზიდენტო არჩევნებზე, პირველი ქალი პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, რაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა. ასევე, ვისაუბრეთ იმაზე, თუ როგორ ვხედავთ მომავალში ჩვენი ორმხრივი ურთიერთობების განვითარებას“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ. ირაკლი კობახიძე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ესტონეთში ვიზიტს აგრძელებს. დელეგაციის შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი არჩილ თალაკვაძე და ესტონეთის პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის ხელმძღვანელი ნინო წილოსანი შედიან.

გიორგი გახარია სომეხ კოლეგას მასპინძლობს

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სომხეთის რესპუბლიკის პოლიციის ხელმძღვანელი ვალერი ოსიპიანი დელეგაციასთან ერთად ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

ვალერი ოსიპიანი საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს გიორგი გახარიას შეხვდა. მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. მინისტრმა კოლეგას სამინისტროში განხორციელებული

და მიმდინარე რეფორმები გააცნო.

„ორგანიზებული დანაშაული არის ის გამოწვევა, რომელზეც ჩვენ დღეს ვისაუბრეთ და მიუხედავად იმ წინააღმდეგობებისა, რომლებიც განსაკუთრებით ამ საზღვრისპირა ზონებში გვაქვს, უკვე დავსახეთ კონკრეტული გეგმა იმისთვის, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

„ჩვენ ქვეყანაში ამჟამად მიმდინარეობს პოლიციის რეფორმა და ჩვენ დავინტერესდით საქართველოს საპატრულო სამსახურის საქმიანობით. გვინდა, გამოვიყენოთ საქართველოს საპატრულო სამსახურის მოდელი ჩვენ ქვეყანაში. ჩემი მოადგილე რამდენიმე თვის წინათ ეწვია საქართველოს და უკვე აქტიურად მიმდინარეობს საპატრულო საგუშაგო სამსახურის და საგზაო პოლიციის გაერთიანების პროცესი. 2019 წელს ჩვენ უკვე ჩამოყალიბებული გვექნება ახალი საპატრულო სამსახური“, — განაცხადა ვალერი ოსიპიანმა.

სომხეთის დელეგაცია საქართველოს ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ეწვია.

სალომე ზურაბიშვილმა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად — ლაშა ჟვანია, ხოლო საპარლამენტო მდივნად დიმიტრი გაბუნია დანიშნა

როგორც ზურაბიშვილმა ათონელის რეზიდენციაში განაცხადა, გუნდის სრული შემადგენლობის შესახებ კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

„გუშინ დავნიშნე ოფიციალურად ლაშა ჟვანია, როგორც ადმინისტრაციის უფროსი და ამ დილით დიმიტრი გაბუნია, როგორც ჩემი საპარლამენტო მდივანი, რამეთუ პარლამენტთან უკვე არის ძალიან ბევრი საქმე.

ნათია პავლიაშვილი აგრძელებს პრესასთან ურთიერთობას, თუმცა პიარის ჯგუფი გაძლიერდება. ამ დღეებში შევჯერდებით იმ ადამიანებზე, ვინ შემოგვიერთდებიან და კვირის ბოლოს გეტყვით, ვინ იქნება მთავარი ბირთვი“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა ათონელის რეზიდენციაში.

„აქ იქნება თქვენი სახლი“

საქართველოს მეხუთე პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ჟურნალისტებისთვის მედიაკლუბს ქმნის. პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნულ კლუბში ისეთ საკითხებზე ისაუბრებს, რომლებიც, მისი თქმით, არ არის საჭირო, რომ საჯარო გახდეს.

მეხუთე პრეზიდენტი ათონელის ქუჩაზე მდებარე რეზიდენციაში გუშინ პირველად მივიდა და მისთვის გამოყოფილი კაბინეტიც დაიკავა:

„დანარჩენი გზადაგზა ყველაფერზე გესაუბრებით, მოგიწვევთ, აქ იქნება თქვენი სახლი და მაქვს ასევე სხვა აზრები, რომ ჩვენ გვქონდეს სხვა ფორმატშიც ურთიერთობა,რომ შემეძლოს თქვენთან ისეთ საკითხებზე საუბარი, რომელიც საჭიროა თქვენთვის, რომ იცოდეთ და არ არის აუცილებელი ,რომ გახდეს საჯარო ინფორმაცია იმ წამსვე. ეს არის საჭირო იმისთვის, რომ თქვენ უკეთ გაიგოთ.

მე მქონდა ასეთი ფორმატი საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელსაც ერქვა ჩემი პრესკლუბი. ვეცდები, ახლო მომავალში, ალბათ, უფრო დღესასწაულების მერე, დავიწყებთ ამ ფორმატით მუშაობას,“ — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

პაატა ბურჭულაძემ რუსეთში იმ კონცერტზე იმღერა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი ესწრებოდა

პაატა ბურჭულაძემ სანკტ-პეტერბურგში იმ კონცერტზე იმღერა, რომელსაც რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ესწრებოდა.

კონცერტი 15 დეკემბერს სანკტ-პეტერბურგის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა და ის მაესტრო იური ტემირკანოვის იუბილეს ეძღვნებოდა. კონცერტზე, რომელზეც პაატა ბურჭულაძემ ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან“ ერთ-ერთი არია „ღვინოვ კახურო“ შეასრულა, ვლადიმერ პუტინი სიტყვით გამოვიდა.

რუსეთი ოკუპანტია, ხელოვნებასაც გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება

ხელოვანი თავისუფალია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი ოკუპანტია, ხელოვნებასაც გარკვეული პასუხისმგებლობა ეკისრება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი ზოიძემ პაატა ბურჭულაძის მონაწილეობით სანკტ-პეტერბურგში ჩატარებულ კონცერტთან დაკავშირებით განუცხადა.

„პოლიტიკოსზე საუბარიც არ არის, ეს მიუღებელია“, — აღნიშნა აკაკი ზოიძემ. ცნობისთვის, პაატა ბურჭულაძემ რუსეთში იმ კონცერტზე იმღერა, რომელსაც ვლადიმერ პუტინი ესწრებოდა.

პაატა ბურჭულაძისგან განმარტებას ვითხოვ

ვწუხვარ და ვითხოვ განმარტებას, მათ შორის, მისი მხრიდან, რასთან გვაქვს საქმე, — ამის შესახებ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი ვაშაძემ პაატა ბურჭულაძის მონაწილეობით სანკტ-პეტერბურგში ჩატარებულ კონცერტთან დაკავშირებით განაცხადა. მისი თქმით, პოლიტიკური აქტივობა და, მეორე მხრივ, პუტინის თანდასწრებით სიმღერა ჩემთვის მიუღებელია.

„ძალიან სამწუხაროა ჩემთვის ეს ფაქტი. ვწუხვარ და პირდაპირ გეტყვით, რომ პოლიტიკური აქტივობა და, მეორე მხრივ, პუტინის თანდასწრებით სიმღერა ჩემთვის მიუღებელია. ვწუხვარ და ვითხოვ განმარტებას, მათ შორის, მისი მხრიდან, რასთან გვაქვს საქმე“, — განაცხადა ვაშაძემ.

ელჩების ყოველწლიური შეკრების ტრადიცია გრძელდება

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელების ყოველწლიური შეხვედრის — „ელჩების კონფერენციის“ ფარგლებში სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ღონისძიების სტუმრებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა მათი მნიშვნელოვანი წვლილი ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებაში.

საქართველოს საგარეო უწყების ხელმზღვანელმა განსაკუთრებით გამოყო საქართველოს პრმიერ-მინისტრის გადაწყვეტილება ქვეყნის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მიზნების სამთავრობო პროგრამის პრიორიტეტებში ასახვის გამო და აღნიშნა პრემიერის პირადი ჩართულობა იმ მრავალ წარმატებაში, რაც საგარეო ურთიერთობის კუთხით ქვეყანას გააჩნია.

„მადლიერი ვართ, რომ თქვენს მიერ წარდგენილი სამთავრობო პროგრამის ძირითად პრიორიტეტებში, პირველ ადგილზე დააყენეთ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სრულფასოვანი ინტეგრაცია. სწორედ თქვენმა ჩართულობამ და მნიშვნელოვანმა აქტიურობამ მიმდინარე წელს საქართველოს მოუტანა ხელშესახები შედეგები საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე, ამაზე მეტყველებს მაღალი და უმაღლესი დონის ორმხრივი ვიზიტების დინამიკა, საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუციები, გადაწყვეტილებები, თანამშრომლობის ახალი ფორმატები და

სხვა“, — განაცხადა მინისტრმა.

მინისტრმა განსაკუთრებით აღნიშნა პარლამენტის ჩართულობა საგარეო პოლიტიკური ამოცანების რეალიზებაში და ამ მხრივ ყურადღება გაამახვილა ახალი კონსტიტუციის ძალაში შესვლის შემდგომ პარლამენტის როლზე. დავით ზალკალიანმა ასევე მადლობა გადაუხადა საქართველოს მეხუთე პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს საქართველოს დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელთა ყოველწლიური შეკრების ტრადიციად დამკვიდრებისათვის.

მინისტრმა საკუთარ გამოსვლაში ყურადღება გაამახვილა ღონისძიების უცხოელ სტუმრებზე. წელს ელჩების კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მოლდოვის ვიცე-პრემიერი და უკრაინის დროებით ოკუპირებული ტერიტორიებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხების მინისტრი. სპეციალურ სესიაზე მონაწილეები იმსჯელებენ რეგიონში არსებულ კონფლიქტებზე, კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“.

ელჩების კონფერენციის მონაწილეები ღონისძიების ფარგლებში, რომელიც 18-21 დეკემბერამდე გასტანს, შეაჯამებენ 2018 წლის შედეგებს, ისაუბრებენ სამინისტროს მიღწევებსა და ახალ ინიციატივებზე, გამართავენ თემატურ შეხვედრებს საერთაშორისო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებზე.

სალომე სამადაშვილი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ტოვებს

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს ტოვებს.

როგორც სამადაშვილმა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, მას მწვავე საკითხებზე საუბრის შესაძლებლობა არ ეძლევა.

„მწვავე საკითხებზე საუბრის შესაძლებლობა არ გვეძლევა. ამიტომ, ვტოვებ კომიტეტს და მივმართავ ბიუროს. იმედია, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტში მექნება საუბრის შესაძლებლობა“, — განაცხადა სალომე სამადაშვილმა, რომელმაც კომიტეტის სხდომა დატოვა.

ცნობისთვის, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ხმაური იყო. სხდომაზე ერთმანეთს კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, „ევროპული საქართველოს“ წევრი ოთარ კახიძე და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

„თქვენ უნდა იმეცადინოთ რეგლამენტში“...

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე ხმაური იყო. სხდომაზე ერთმანეთს კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია, „ევროპული საქართველოს“ წევრი ოთარ კახიძე და „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი სალომე სამადაშვილი სიტყვიერად დაუპირისპირდნენ.

ოპოზიციის წევრები დავით კირკიტაძის დაკავების საკითხზე საუბრობდნენ. მათ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ მოუწოდა, რომ საკითხი დაეყენებინათ რეგლამენტის ჭრილში, რადგან იმ ტიპის განცხადებები არ ჯდება კომიტეტის მუშაობის პროცედურაში.

ბესელიას ამ განცხადებას ოპოზიციის წევრების მხრიდან უკმაყოფილება მოჰყვა, რის გამოც ეკა ბესელიამ სალომე სამადაშვილსა და ოთარ კახიძეს მიმართა, რომ ან დაწყნარებულიყვნენ ან სხდომათა დარბაზი დაეტოვებინათ.

„თქვენ უნდა იმეცადინოთ რეგლამენტში, ქალბატონო სალომე, ცოტა წაიკითხეთ რეგლამენტის წესები, ხანდახან ჩახედეთ“, — მიმართა ბესელიამ სამადაშვილს.

ჩინური კომპანიები აჭარით დაინტერესდნენ

აჭარის ტურისტული პოტენციალით ჩინეთიდან წამყვანი ტურისტული კომპანიების მენეჯერები დაინტერესდნენ. მათთვის აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში რეგიონის ტურისტული პროდუქტების პრეზენტაცია გაიმართა, სადაც სტუმრებს საშუალება ჰქონდათ რეგიონის ტურისტულ ატრაქციებს, სამზარეულოსა და კულტურას გაცნობოდნენ.

პრეზენტაციისას საერთაშორისო ტურიზმის სტიმულირების სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ კოპლატაძემ იმ ტურისტულ მიმართულებებზე ისაუბრა, რომელიც პრიორიტეტულია აჭარისათვის. ასევე ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთი საქართველოსთვის სტრატეგიული ქვეყანაა ტურიზმის სფეროში ურთიერთთანამშრომლობის კუთხით.

ბოლო ორ წელში, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონში 107 ინფო და მედიატურს უმასპინძლა, რომლის ფარგლებშიც აჭარის ტურისტულ პოტენციალს 963 ჟურნალისტი და ტურისტული სააგენტოს წარმომადგენელი გაეცნო.

ისანში კიდევ ერთი ქუჩა მოწესრიგდება

ისნის რაიონში, მეტრომშენის დასახლებაში, ეკატერინე მელიქიშვილის (ყოფილი აფანასიევი) ქუჩის სრული რეაბილიტაცია დაიწყო. პროექტის პირველ ეტაპზე, გზის 220-მეტრიან მონაკვეთზე წყალმომარაგების ქსელი შეიცვლება.

სამუშაოებს ისნის რაიონის გამგეობის ხელშეწყობით, კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ ახორციელებს. მიწისქვეშა საინჟინრო-საკომუნიკაციო სამუშაოები წლის ბოლოს დასრულდება, რის შემდეგაც, გამგეობა 3 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე გზის რეაბილიტაციას დაიწყებს.

ეკატერინე მელიქიშვილის ქუჩაზე მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებთან დაკავშირებით, ისნის რაიონის გამგებელი კახა ლაბუჩიძე ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და პროექტის დეტალები გააცნო.

მელიქიშვილის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის შეცვლა ორ კვირაში დასრულდება, ხოლო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები 2019 წლის იანვარში დაიწყება.

საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ 2024 წელს გვექნება

პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთანავე ძალაში ახალი კონსტიტუცია შევიდა. ახალი რედაქციით, ქვეყანა სრულად საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელზე გადადის. ცვლილებების თანახმად, იზრდება ადამიანის უფლებების სტანდარტი. იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი და საარჩევნო სისტემა. კონსტიტუციით გათვალისწინებული აღარ არის პარლამენტის ადგილმდებარეობა.

ამის გარდა, ცვლილებების მიხედვით, ქვეყანაში მთავარი ორგანო პარლამენტი იქნება, იზრდება მისი როლი მთავრობის ზედამხედველობისა და კონტროლის კუთხით, თუმცა, სრულად საპარლამენტო რესპუბლიკის მოწყობაზე ქვეყანა 2024 წლიდან გადავა — გაუქმდება მაჟორიტარული საარჩევნო სისტემა.

როგორც კონსტიტუციონალისტები განმარტავენ, საპარლამენტო მმართველობის მოდელი თითქმის გამორიცხავს ერთპარტიული მმართველობის შესაძლებლობას.

კონსტიტუციონალისტი **ვახტანგ ხმალაძე** თვლის, რომ 16 დეკემბერს ამოქმედებულ ახალ კონსტიტუციაში ყველაზე მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინსტიტუტების ურთიერთობის კონსტიტუციის საფუძველზე შეცვლაა — იცვლება პარლამენტის, მთავრობისა და პრეზიდენტის ფუნქციები. ხმალაძის განმარტებით, მოდელი, რომელიც ამოქმედდა, შეესაბამება კლასიკური საპარლამენტო რესპუბლიკის მოდელს, რომლის მთავარი ნიშანიც არის ის, რომ მთავრობას პარლამენტი ქმნის, მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, პარლამენტი აკონტროლებს მთავრობის საქმიანობას და ამ კონტროლისთვის ქმედითი მექანიზმები აქვს. ხმალაძის აზრით, ასევე მნიშვნელოვანია პრეზიდენტისთვის აღმასრულებელი უფლებამოსილებების არქონა.

„პრეზიდენტის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება კრიზისული ვითარებების დროს, როდესაც საგანგებო მდგომარეობა იქმნება (მასობრივი არეულობები, ეპიდემიები, ბუნებრივი კატასტროფები).

აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს პრეზიდენტი უფლებამოსილია, გამოსცეს კანონის ძალის მქონე დეკრეტები, რომლითაც შეიძლება ბევრ სხვა რამესთან ერთად, შეიზღუდოს ადამიანის გარკვეული უფლება, ან შეიძლება შეჩერდეს კონსტიტუციის გარკვეული ნორმების მოქმედება. ოღონდ ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამას ერთპიროვნულად ვერც პრეზიდენტი წყვეტს, ვერც მთავრობა და ვერც პარლამენტი“, — განმარტავს **ვახტანგ ხმალაძე.**



კონსტიტუციონალისტი **ვახუშტი მენაბდე** თვლის, რომ საქართველო 2024 წლამდე ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად რჩება და საპარლამენტო რესპუბლიკა მხოლოდ მას შემდეგ გახდება, რაც მას ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი აღარ ეყოლება.

კონსტიტუციონალისტის განმარტებით, მმართველობის მოდელი, პირველ რიგში, იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზით ხვდება პრეზიდენტი თანამდებობაზე.

„ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად ვრჩებით, სადაც პრეზიდენტის როლი არის მინიმალიზებული და მთავარი პოლიტიკური ძალაუფლება პრემიერ-მინისტრს გააჩნია. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტი ყოველდღიურ პოლიტიკაში არ ერთვება და ქვეყანას მთავრობის თავმჯდომარე მართავს“, — აცხადებს მენაბდე.

მისივე აზრით, ამ პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არის ის, რომ ძალაუფლების ვერტიკალი მთლიანად დამოკიდებულია მმართველ გუნდზე, რადგან მმართველი გუნდი მოიცავს საპარლამენტო უმრავლესობასაც და საპარლამენტო უმრავლესობის ნდობით აღჭურვილ მთავრობასაც. ამიტომ ძალთა ბალანსი ამ ტიპის სახელმწიფოებში ძალიან მყიფეა. ასეთ შემთხვევაში სიმძიმის ცენტრი მოდის არა საპარლამენტო უმრავლესობაზე, არამედ საპარლამენტო ოპოზიციაზე.

„ეს იმას ნიშნავს, რომ ოპოზიცია მნიშვნელოვანი უფლებებით უნდა იყოს აღჭურვილი. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციამ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, ხოლო რეგლამენტის რეფორმამ ახალი ინსტრუმენტები დაუმატა“, — მიიჩნევს მენაბდე.

მარიამ თოდაძე

კომერსანტის ექსკლუზიური რეპორტაჟი თვითმფრინავის კომპოზიტური ნაწილების ქარხნიდან, რომელსაც BOEING-ის შესაბამისობის სერტიფიკატი მიენიჭა

არიე ვეისბორტი: საქართველო ინოვაციების ქვეყანაა!

ექვსი **თვის წინათ თბილისში თვითმფრინავის კომპოზიტური ნაწილების ქარხანა გაიხსნა. გახსნის დღეს ყოფილი პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ საქართველო საერთაშორისო ავიაინდუსტრიის რუკაზე ადგილს იკავებს და რეგიონში ამ დარგის ლიდერი ხდება. „კომერსანტი“ დაინტერესდა, შეძლო თუ არა ქართულ-ებრაულმა ინვესტიციამ ნახევარი წლის შემდეგ არსებული მოლოდინის გამართლება.**

ექსკლუზიურად კომერსანტისთვის გახდა შესაძლებელი, ადგილზე გასცნობოდა არსებულ სიტუაციას, დაეთვალიერებინა ქარხანა და გასაუბრებოდა ATC-ის დირექტორს არიე ვეისბორტის, რომელმაც უახლესი ინფორმაცია მოგვაწოდა.

შეძლებდა თუ არა ქარხანა სრულფასოვნად მუშაობას, დამოკიდებული იყო სერტიფიცირების პროცესზე, რაც საბოლოოდ გადაწყვეტდა ქარხნის ბედს. როგორც არიე ვეისბორტმა „კომერსანტს“ ექსკლუზიურად განუცხადა, სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების მწარმოებელი ქარხნის (ATC) პირველ პროდუქციას, ავიაციის ინდუსტრიის ერთ-ერთმა უმსხვილესმა კორპორაციამ Boeing-მა ნდობა გამოუცხადა და როგორც მაღალი ხარისხის მწარმოებელ ქარხანას შესაბამისობის სერტიფიკატი მიანიჭა.

„Boeing-ის წარმომადგენლები საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდნენ, ადგილზე დაათვალიერეს და შეამოწმეს დანადგარები, ასევე ნახეს, როგორ აწარმოებენ თანამშრომლები პროდუქტს. სერტიფიცირება მას შემდეგ გავიარეთ, როცა დარწმუნდნენ, რომ შეგვიძლია ხარისხიანი პროდუქტის წარმოება. პირველ ეტაპს წერტილი დაესვა, რის გამოც ამდენი ხანი ვმუშაობდით, ყველაფერი წარმატებით დასრულდა“, – აცხადებს ATC-ის დირექტორი არიე ვეისბორტი კომერსანტთან საუბარში.

ATC -ის დირექტორი არიე ვეისბორტი გვიყვება, რომ პირველ პროდუქციას, რომელსაც სამოქალაქო თვითმფრინავების ნაწილების მწარმოებელ ქარხანაში აწარმოებენ, სტრუქტურული ნაწილებია. მისივე თქმით, წლის ბოლომდე 200- მდე ნაწილის წარმოება იგეგმება. თუმცა ავიაინდუსტრიაში სერტიფიცირების გარეშე პროდუქტს ვერ გაყიდი.

„არის ორის ტიპის სერტიფიცირება. პირველი არის ინდუსტრიის სერტიფიცირება – nadcap-ი, რომელიც პარალელურად მზადდება და შემდეგი წლის დასაწყისში გვექნება, რაც შეეხება მეორე სერტიფიკატს, ნებისმიერ მომწოდებელს რომ მოგეცეს მომარაგების უფლება, მისი სერტიფიცირება უნდა გაიარო. ახლა დავასრულეთ Boeing-ის სერტიფიცირება, რაც იმას ნიშნავს, რომ პირველი პროდუქციის გაყიდვა მოხდება მსოფლიოს უდიდეს კორპორაციასთან – Boeing-თან. რაც უფრო მეტ ნაწილზე მივიღებთ სერტიფიცრებას, ეტაპობრივად გაიზრდება შეკვეთებიც,“ – ამბობს არიე ვეისბორტი.

არიე ვეისბორტი გვიყვება, რომ დღეს ავიაინდუსტრია ხარჯების დაზოგვაზეა გადასული. მისი თქმით, კომპოზიტური მასალა რკინის ჩამანაცვლებელია, რომელიც მეტალზე გაცილებით მსუბუქი და გამძლეა.

კომპოზიტური ნაწილების შექმნის ექსპერტები ვართ, ჩვენი წარმოებული ნაწილები ძალიან მყარი და მსუბუქია. ეს არის შედარებით ახალი ტექნოლოგია, რომლითაც თვითმფრინავის თითქმის ყველა ნაწილი

კეთდება. წარმოებას ვიწყებთ შედარებით მარტივი ნაწილებით, შემდეგ სრულ სპექტრზე გადავალთ, რომელსაც Elbit Cyclone ისრაელში აწარმოებს. ახალ პროდუქტს ჯგუფურად ვამატებთ, შეიძლება, ჯერ იყოს კედელი, შემდეგ იატაკი და ა.შ

არიე ვეისბორტი ამბობს, რომ საქართველო ბიზნესის გასაკეთებლად საუკეთესო ქვეყანაა:

„ვფიქრობ, საქართველო ახლა ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც ისრაელი იყო 60 წლის წინ, თუმცა საქართველოს ბევრი უპირატესობა აქვს. ჩემი აზრით, აქ კარგი პლატფორმაა ინდუსტრიის განსავითარებლად, არის დაბალი გადასახადები და განვითარების პერსპექტივები. ესაა ქვეყანა ინოვაციებისთვის“, – აცხადებს არიე ვეისბორტი.

თუმცა ATC-ის დირექტორი აცხადებს, რომ ქვეყანაში პროფესიონალი კადრების პრობლემაა. მისი თქმით, სახელმწიფომ ყურადღება ტექნოლოგიების მიმართულებით უნდა გაამახვილოს რათა ქვეყანა ტექნოლოგიური მიმართულებით განვითარდეს:

„ახალგაზრდებმა უნდა ისწავლონ ტექნოლოგიების მიმართულებით, როდესაც უმაღლეს სასწავლებლებში დაინერგება მექანიკური ინჟინერიის, კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტები, ინვესტორები მეტ პოტენციალს დაინახავენ. როდესაც ინვესტორები ბაზარზე შემოდიან, დიდ თანხას განათლებაზე ხარჯავენ, ამიტომ ვთვლი, რომ სახელმწიფო უფრო აქტიურად უნდა მუშაობდეს ამ მიმართულებით,“ – განმარტავს არიე ვეისბორტი.

საქართველოში წარმოებული ნაწილების გამოყენებას Boeing- თვითმფრინავის წარმოებაში ძალიან მალე დაიწყებს. საპარტნიორო ფონდის საინვესტიციო დეპარტამენტის დირექტორი და პროექტის მენეჯერი ნინო ჩოლოყაშვილი აცხადებს, რომ სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხანა ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის კუთხით უცხოელი ინვესტორებისთვის მაგალითი იქნება: **„ATC უკვე არის მაგალითი სხვა ინვესტორებისთვის, რომ მაღალი ტექნოლოგიური საწარმოს აშენება და წარმატებულად ოპერირება საქართველოში შესაძლებელია და ამ პირველი კვალიფიკაციის გავლით დავადასტურეთ, რომ ნამდვილად შეიძლება ისეთი პროდუქციის წარმოება, რომელიც არის უმაღლესი სტანდარტის“,** – ნინო ჩოლოყაშვილი.

თვითმფრინავების ნაწილების მწარმოებელი ქარხნის მშენებლობას საფუძველი „საპარტნიორო ფონდმა“ ისრაელის კომპანია Elbit Cyclone-თან ერთად ჩაუყარა. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 85 მილიონი აშშ დოლარია.

„ამ ეტაპზე არის ორი დიდი ინვესტორი – საპარტნიორო ფონდი და ებრაული კომპანია ELBIT Cyclone, რომელიც ისრაელში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი კომპანიაა. მსგავსი ქარხანა მათ ისრაელში ჰქონდათ. გაფართოების მიზნით ინვესტორები სხვა ქვეყანას ეძებდნენ, სადაც წარმოება უფრო იაფი იქნებოდა“, – გვიყვება ATC ფინანსური დირექტორი მიხეილ ბეგიაშვილი

Boeing-ს შემდეგ შესაძლებელია, რომ ქართული პროდუქციის მომხმარებლები მსოფლიო ავიაინდუსტრიის სხვა მსხვილი მოთამაშეები გახდნენ. მიხეილ ბეგიაშვილი არ გამორიცხავს, რომ კომპოზიტური ნაწილები საავტომობილო ინდუსტრიისთვისაც დაამზადონ.

ავიაინდუსტრიაში არიან სხვა მსხვილი მწარმოებლები, როგორებიც არიან airbus, bombardier და სხვა კომპანიები. ჩვენ ვეცდებით, რომ მათი სერტიფიკატიც მოვიპოვოთ, რათა წარმოების მასშტაბი გავაფართოოთ. თუმცა მნიშვნელოვანი არის ის, რომ თვითონ Boeing-ს იმდენად დიდი შესყიდვები აქვს, სრული დატვირთვით გვამუშავებს. მათ კი თვითმფრინავების წარმოება შემდეგი ოცი წლით აქვთ დაგეგმილი. გარდა იმისა, რომ პროდუქცია თვითმფრინავებს შეგვიძლია მივაწოდოთ, კომპოზიტს ბოლო პერიოდში უფრო და უფრო ხშირად იყენებენ მანქანებში, ჯერ-ჯერობით ძვირადღირებულში, თუმცა სამომავლოდ შეიძლება ავტომობილების დარგშიც ვიმუშაოთ,“ – აცხადებს მიხეილ ბეგიაშვილი.

ATC-ში გვიყვებიან, რომ ქარხნის თანამშრომლებმა ტრენინგი ისრაელში გაიარეს, გადამზადების პირველი ეტაპი დასრულებულია, თუმცა სწავლება ეტაპობრივად გრძელდება: **დღეს საქართველოში ამ მიმართულებით საკმარისი ცოდნა არ არის. ვფიქრობ, რომ ქვეყანა ტექნოლოგიების მიმართულებით ძალიან დიდ განათლებას მიიღებს. გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები. დღეს 80- მდე თანამშრომელი გვყავს დასაქმებული. შემდეგ წელს თანამშრომლების რიცხვი 200 გაიზრდება. ადამიანები მიიღებენ გამოცდილებას, როგორ იმუშაონ მაღალი სტანდარტების ქარხანაში. ასეთი ტიპის ქარხანა საქართველში არ არის. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენი წარმოება არის ექსპორტზე ორიენტირებული, შესაბამისად ეს არის ვალუტა, რომელიც შემოდის საქართველოში.**

საერთაშორისო დონის მაღალი ხარისხის ქარხნის ამუშავებას კიდევ ერთი დადებითი შედეგი აქვს. ATC-ში დღეს ასეთი სამი ემიგრანტი მუშაობს, რომელიც სამშობლოში სწორედ ამ ქარხანაში სამუშაოდ დაბრუნდა. ერთ-ერთი მათგანი კოტე ჭეიშვილია, რომელიც კომპანიას ჯერ კიდევ გახსნამდე მეილით დაუკავშირდა: **„გერმანიაში ვმუშაობდი სამაგისტრო ნაშრომზე. რადგან ამ მიმართულებით ვსწავლობდი, აღნიშნული პროექტით დავინტერესდი. გაგზავნილი მქონდა მეილი, როდესაც ქარხნის მშენებლობა გააქტიურდა, დამიკავშირდნენ. დავასრულე თუ არა სწავლა, ჩამოვედი და დავსაქმდი. თითქმის ერთი წელი ვიყავი ისრაელში წასული, იქ ვსწავლობდით სპეციფიკას, წარმოების ტექნოლოგიებს და ა.შ**

ვფიქრობ, რომ პროექტი მნიშვნელოვანია, რადგან ძალიან ბევრი ქართველია დასაქმებული , საინჟინრო და ტექნიკური თვალსაზრისითაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან აქ შეიქმნება ის ცოდნა, რომელიც ბოლო პერიოდში არ იყო. პროექტი საქართველოს განვითარებაში დიდ როლს შეიტანს, ბევრ ქვეყანას შეშურდება ესეთი მაღალი დონის ქარხანა“, – აცხადებს საინჟინრო ჯგუფის უფროსი კოტე ჭეიშვილი.

ორი წელია, ქარხანაში მუშაობს თამაზ პარფენოვი. მექანიკური დამუშავების და არადესტრუქტირული ტესტირების ჯგუფის ლიდერი ამბობს, რომ მაღალტექნოლოგიური საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამოქალაქო თვითმფრინავების ქარხანაში მუშაობა მათ პროფესიულ განვითარებას და წინსვლას უწყობს ხელს.

„სამოქალაქო თვითმფრინავების კომპოზიტური ნაწილების მწარმოებელი ქარხანა საქართველოსთვის მაღალი ტექნოლოგიის იმპორტი და განვითარებაა. ქარხნის არსებობა ძალიან დიდი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნისთვის და ახალგაზრდებისთვის, რომლებიც აქ მუშაობენ. ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს, შევისწავლოთ ის ტექნოლოგია, რომელიც საქართველოში ჯერ არ ყოფილა. იმედი მაქვს, რომ მსგავსი ტიპის სხვა ქარხნებიც აშენდება“, – გვიყვება თამაზ პარფენოვი.

„საპარტნიორო ფონდისა“ და ისრაელის კომპანია Elbit Cyclone-ის ერთობლივი პროექტი სრული დატვირთვით 2020 წლისთვის ამუშავდება, რა დროსაც ქარხანაში 300 ადამიანი იქნება დასაქმებული. ხოლო შეინარჩუნებს თუ არა საქართველო საერთაშორისო ავიინდუსტრიის რუკაზე ადგილს, ამას უკვე დრო გვიჩვენებს.

ბაჩო ადამია

თბილისში ბიზნესი უსაფრთხო აღარ არის – კრიმინალი უკონტროლო ხდება

ბოლო ორ წელში მსგავსი ფაქტები იმდენად გახშირდა, რომ თბილისში ბიზნესი უსაფრთხო აღარ არის. ამას თავად კერძო სექტორიც ადასტურებს და დარგის სპეციალისტები. მეტიც, ციფრები პირდაპირ მიანიშნებს კრიმინალის ზრდაზე. უფრო ზუსტად:

შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაშაულის სტატისტიკის თანახმად, წინა წელთან შედარებით, სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული 122%-ით გაიზარდა. 2018 წლის 10 თვეში ამ ტიპის დანაშაულის 1900 შემთხვევა მოხდა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 1046 ფაქტით მეტია.

რაც შეეხება დანაშაულებრივ სტატისტიკას, 2012-2014 წლების მონაცემები „საქსტატში“ არ მოიძიება, ხოლო:

- 2015 წელს აღრიცხულია – 35 096 სისხლის სამართლის დანაშაული,
- 2016 წელს – 35 997;
- 2017 წელს სულ რეგისტრირებული იყო 37 944 კრიმინალური ფაქტი.
- 2018 წელს ქვეყნის კრიმინოგენური მდგომარეობა კი უფრო მძიმე სურათს აჩვენებს. კერძოდ, რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობამ I-III კვარტალის მიხედვით 43 845 ფაქტი შეადგინა.

ბიზნესი თავს დაცულად აღარ გრძნობს და საგამოძიებო უწყებებს უფრო მკაცრი რეაგირებისკენ მოუწოდებს, თუმცა ირკვევა, რომ ხშირ შემთხვევაში საქმის გამოძიება არ სრულდება და პრობლემაც არ გვარდება. ვითარებაც უფრო საგანგაშო გახდა. თავად კერძო სექტორის შეფასებები კი ასეთია:

Swatch-ის მაღაზიათა ქსელის მენეჯერი ნინა თალაკვაძე:

„ბმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული „სვოჩის“ მაღაზია სულ რამდენიმე დღის წინათ გაქურდეს, ახალი ამბავია ასე ვთქათ. წინასაახალწო პროდუქცია ჩამოგვივიდა და ზუსტად იმ ღამეს, როდესაც ახალი კოლექცია განვათავსეთ, გაგვძარცვეს. დავზარალდით ათასობით ლარით და რაც ყველაზე დიდი ზიანია, ახალი წლის წინ დავრჩით უპროდუქციოდ; ჩვენ მომდევნო კოლექციას ვერ მივიღეთ თებერვლის თვემდე. ალბათ, გასაგებია რამხელა ფინანსურ, ზნეობრივ ზარალზეა საუბარი. ასე მომხმარებელიც დაიკარგება. რაც შეეხება გამოძიების პროცესს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს და პასუხის მოლოდინში ვართ. სხვა მაღაზიების ძარცვის შემთხვევაზეც გვსმენია, რა თქმა უნდა, და ეს არის ძალიან ცუდი ფაქტი, რაც ნეგატიურად აისახება ბიზნესზე. ასე არ უნდა გაგრძელდეს“.

„ბეკოს“ მარკეტინგის მენეჯერი ხატია ტყებუჩავა:

„ძალიან გაზრდილია დაყაჩაღების ფაქტები, დიახ, ბიზნესი საქართველოში უკვე დიდ საფრთხეს წარმოადგენს; დაცულები აღარ ვართ, რადგან დამნაშავეები არ ისჯებიან. ჩვენ გაძარცვაზე გამოძება ამ დრომდე არ დასრულდებულა და ამასობაში კრიმინალები უკვე რეგიონებშიც გადავიდნენ. ცოტა ხნის წინათ დააყაჩაღეს „ბეკოს“ ქუთაისისა და გორის ფილიალებიც. როდესაც ვხედავთ, რომ დამნაშავეები ვერ ან არ ისჯებიან, თავად ვცდილობთ დაცვის სამსახურის გამკაცრებას... აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ხმამაღლა ამ თემაზე ბიზნესი ჯერჯერობით არ საუბრობს, რადგან საქმე არასრულწლოვნებს ეხებათ, მარგამ ბუნებრივია, თუ შესაბამისი უწყებები გამოსავალს ვერ მონახავენ, კერძო სექტორიც შესაბამის ზომებს მიიღებს. რა აზრი აქვს ბიზნესს, თუ მოლოდინში ხარ, რომ შესაძლოა, ფინანსურად და ზნეობრივად დიდი ზარალი ნახო?!“

„ტექნობუმის“ დამფუძნებელი ანზორ ძოძოლაძე:

„მოგეხსენებათ, ჩვენ 4-ჯერ დაგვაყაჩაღეს. აქედან მხოლოდ ერთის გამოძიება დასრულდა, დანარჩენი 3-ის ბედი კი არ ვიცი. ზოგად ვითარებაზე გეტყვით, რომ ძარცის პიკი აღინიშნა მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში. არაოფიციალურ წყაროზე დაყრდნობით ვიცი, რომ ის დაჯგუფები, ვინც აყაჩაღებდა (ცნობილია, რომ ძირითადად არიან არასრულწლოვნები), დააკავეს. მერე ცოტა ხანი სიმშვიდე იყო და ახლა თითქოს ისევ გახშირდა. ასევე სანდო წყაროზე დაყრდნობით ვიცი, რომ კიდევ არიან მსგავსი დაჯგუფებები გარეთ და ახლა გამოცოცხლდნენ. საოცრად საგანგაშო და უკიდურესი ვითარება არ დგას, მაგრამ ასე თუ გაგრძელდა, ნამდვილად უდიდესი პრობლემები შეგვექმნება. ზოგადად ბიზნესი ქვეყანაში ყველა მხრივ დაცული უნდა იყოს“.

პირველ რიგში, ბიზნესი ბრალს სწორედ არასრულწოვნებს სდებს. ასევე ხშირად საუბრობენ, ე.წ. მაზავშიკებზეც. კერძოდ, როდესაც მოთამაშე დიდ თანხას აგებს, ის ბანკის გატანაზე მიდის ან მაღაზიის დაყაჩაღებაზე. კერძო სექტორის გარდა მედიასთან საუბრისას აღნიშნულს ადასტურებს სისხლის სამართლის სპეციალისტი, საერთაშორისო კანონმდებლობით ადამიანის უფლებათა დაცვისა და პენიტენციური სისტემის რეფორმის ეროვნული ასოციაციის პრეზიდენტიც ემზარ საბანიძეც. დარგის სპეციალისტები თანხმებიან, რომ გამოსავალი დაუყოვნებლივ მისაღებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიმინალი უკონტროლო გახდება და ისედაც გაზრდილი ციფრების შემცირება, შეუძლებელი გახდება.

ვიდრე შინაგან საქმეთა სამინისტრო ათასობით საქმეს გამოიძიებს და ბიზნესი თავს დაცულად იგრძნობს და საქმიანობის შეწყვეტაზე აღარ იფიქრებს, მანამდე „კომერსანტმა“ საქსტატის მაჩვენებლებზე დაყრნობით საშუალო არითმეტიკულიც გამოიანგარიშა. შედეგი ასეთია:

როგორც სტატისტიკიდან ირკვევა, დანაშაულის რაოდენობა ყოველთვიურად მატულობს. თუ ეს მაჩვენებელი მომავალშიც გაგრძელდება, შესაძლებელია, წლის ბოლოს დანაშაულის რაოდენობამ 50 ათასს გადააჭარბოს.

სალომე ლემონჯავა

მაღალჩინოსანი ქრთამმა აცდუნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა, უკანონო მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებასთან დაკავშირებულ პროცედურებში ხელშეწყობისათვის, მოქალაქეს მოსთხოვა 2 000 აშშ დოლარი, საიდანაც წინასწარ 1 000 აშშ დოლარი აიღო.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 9 წლამდე ვადით.

თბილისში 14 წლის მოზარდი დააყაჩაღეს

14 წლის მოზარდი დანის გამოყენების მუქარით დააყაჩაღეს. შემთხვევა თბილისში, თემქის მე-3 მიკრორაიონში დღისით მოხდა.

ქუჩაში მიმავალი არასრულწლოვანი რამდენიმე პირმა გააჩერა და მობილური ტელეფონი წაართვა. მოზარდი პოლიციაში უკვე გამოკითხეს.

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება ყაჩაღობის მუხლით დაიწყო. ჯერჯერობით სამართალდამცველებს არავინ დაუკავებიათ.

სპეციალური პენიტენციური სამსახური პატიმრის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

„სპეციალური პენიტენციური სამსახური ბრალდებულ გიორგი ფასიეიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს და განმარტავს, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსების დღიდან ბრალდებული დაწესებულების მედპერსონალის მუდმივი ყურადღების ქვეშ იმყოფებოდა და სათანადო სამედიცინო მომსახურებით იყო უზრუნველყოფილი, თუმცა სპეციალური პენიტენციური სამსახურის არაერთი მცდელობის მიუხედავად, ბრალდებული უარს აცხადებდა სამსახურის მიერ მისთვის შეთავაზებულ დახმარებაზე, არ ღებულობდა მედიკამენტებს და არ აძლევდა საშუალებას მედპერსონალს, რომ მისთვის სათანადო გამოკვლევები ჩაეტარებინათ. 1983 წელს დაბადებული გიორგი ფასიეიშვილი მიმდინარე წლის 31 ივლისს დაიკავეს, ხოლო 1 აგვისტოს №8 პენიტენციურ დაწესებულებაში იქნა მოთავსებული. გიორგი ფასიეიშვილი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევდა და შიმშილობა გამოაცხადა, რის შესახებაც სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა შესაბამის უწყებებს დაუყოვნებლივ აცნობა.

მიმდინარე წლის სექტემბრიდან სისუსტის გამო, გიორგი ფასიეიშვილი ხუთჯერ იყო ჰოსპიტალიზებული №8 პენიტენციური დაწესებულებიდან №18 (სამკურნალო) დაწესებულებაში, სადაც უარს აცხადებდა სამედიცინო დახმარებაზე და ისევ №8 დაწესებულებაში დაბრუნებას მოითხოვდა.

24 ნოემბერს და 5 დეკემბერს ბრალდებული იმყოფებოდა ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში. 5 დეკემბერს გიორგი ფასიეიშვილი ჩაერთო სუიციდის პრევენციის პროგრამაში; 8 დეკემბერს ბრალდებული კვლავ გადაიყვანეს ღუდუშაურის სამედიცინო ცენტრში, მაგრამ მანქანიდან არ გადმოვიდა და დაბრუნდა №18 დაწესებულებაში. 14 დეკემბერს ბრალდებული ღუდუშაურის კლინიკაში იქნა გადაყვანილი და იმავე დღეს დაბრუნდა პენიტენციურ სამკურნალო დაწესებულებაში. 15 დეკემბერს გიორგი ფასიეიშვილი კვლავ იქნა გადაყვანილი ღუდუშაურის კლინიკაში, სადაც იმყოფებოდა გარდაცვალებამდე. დაესვა დიაგნოზი – ღვიძლის მწვავე და ქვემწვავე უკმარისობა, დაუზუსტებელი თრომბოიტოპენია, დაუზუსტებელი კოაგულოპათია, ბოდვითი აშლილობა, ჰიპოგლიკემია. ბრალდებული გადაადგილებისას სარგებლობდა ინვალიდის ეტლით, აღენიშნებოდა წონის დეფიციტი, საერთო სისუსტე. ბრალდებული უარს აცხადებდა გამოკვლევებსა და გასინჯვაზე. გიორგი ფასიეიშვილი იმყოფებოდა ღუდუშაურის თერაპიულ განყოფილებაში, სადაც უცბად განუვითარდა ქოშინი, აპნოე და მიუხედავად ექიმების მცდელობისა და ჩატარებული სარეანიმაციო ღონისძიებებისა, სამწუხაროდ, 17 დეკემბერს გარდაიცვალა“, – ნათქვამია განცხადებაში.

დავით კირკიტაძემ წინასწარი დაკავების იზოლატორში შიმშილობა დაიწყო



გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, რომ ის პოლიტიკური პატიმარია და ციხეში ივანიშვილის პოლიტიკური დაკვეთით ჩასვეს. შს სამინისტრო ოპოზიციის ქვემო ქართლის ორგანიზაციის ხელმძღვანელს, სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევაში ადანაშაულებს, რაც ექვსი თვიდან ორ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერი და ენმ-ს წევრი დავით კირკიტაძე სამართალდამცველებმა საგარეჯოში დაიკავეს. მას ბრალი დაკავებისას ადგილზევე გააცნეს. ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს ბრალად სსკ-ს 353-ე მუხლის პირველი ნაწილი ედება, რაც პოლიციელზე თავდასხმას, ფიზიკური შეურაცხყოფას და ქონების დაზიანებას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, კირკიტაძის დაკავება მოსამართლის განჩინების საფუძველზე მოხდა.

ეს სიცრუეა – სამსახურში მისაღებად პარტიულობას არ ეკითხებიან

სამი შვილის დედამ ანა ტყეშელაშვილმა თვითმკვლელობა სცადა. ვიდრე ახალგაზრდა ქალი მეტეხის ხიდიდან გადახტებოდა, მან გადაწყვეტილების მიზეზებზე პირდაპირ ეთერში ისაუბრა.

ტყეშელაშვილის თქმით, მან თითქმის ყველა საჯარო უწყება სამსახურის დაწყების თხოვნით შემოიარა, თუმცა მუშაობის დაწყებაზე უარი ყველგან ერთი და იმავე მიზეზით უთხრეს. ტყეშელაშვილი ამბობს, რომ მას პოლიტიკური ნიშნით არ ასაქმებენ, რადგან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია. საბედნიეროდ, ახალგაზრდა ქალის დახმარება პოლიციელებმა დროულად შეძლეს. ამ დროისათვის ტყეშელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

ვინც ღარიბს აძლევს,

მესამე გზა – ქმედითი ქართული სოლიდარიზმი

მსოფლმხედველობის კრიზისი სიღარიბის მანკიერ წრეში

სამი ათწლეულის განმავლობაში მოუგვარებელი ეკონომიკური და სოციალური პრობლემებით გაწამებულ ქართველ საზოგადოებაში უკვე მერამდენედ გაჩენილმა „მესამე ძალის“ მოთხოვნამ აშკარად გამოაჩინა საზოგადოებასა და პოლიტიკურ სპექტრში არსებული მსოფლმხედველობრივი კრიზისი.

მოთხოვნაა არა „მესამე გზაზე“, შესაძლო ახალ იდეოლოგიურ დოქტრინაზე, განსხვავებულზე ლიბერალური და სოციალისტური მიდგომებისგან,რომელიც განვითარების ახალ, საიმედო გზაზე გაიყვანს ქვეყანას, არამედ ადამიანზე ან ადამიანთა ჯგუფზე, რომელიც მოვა და ჯადოსნური ქმედებებით 1-2 წელიწადში დაამარცხებს თომას ჰობსის მიერ „სახელმწიფოს საშინელ მტრად“ შერაცხილ სიღარიბეს.

როცა 30 წლის განმავლობაში ქვეყანაში სიღარიბის დონე არ იკლებს (მსოფლიო ბანკის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 69% სიღარიბეში ცხოვრობს, ხოლო 24% – სიღარიბის ზღვართან ახლოს), ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა **სიღარიბის მანკიერ წრეშია** მოქცეული. არჩეული გზა ტაძრამდე არ მიდის და ხელისუფლების როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ პოლიტიკაში ბევრი რამ ძირეულად შესაცვლელია.

წარმოშობის პირველადი მიზეზებისგან დამოუკიდებლად, სიღარიბე (რადგან წარმოიშვება) თავისთავის კვლავწარმოებას ახდენს და ქვეყანა **სიღარიბის მანკიერ წრეში** ექცევა. როცა მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი შეზღუდული მსყიდველობითუნარიანობის გამო ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობის საქონლის შეძენას, ქვეყანაში არასაკმარისად შემოდის **საწარმოო ინვესტიციები,** რაც შეუძლებელს ხდის ეკონომიკის განვითარებას და მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. იქმნება მანკიერი წრე: არაა საკმარისი რაოდენობის ფული – არ იყიდება და არ იწარმოება საკმარისი რაოდენობის საქონელი. საქონელი არ იწარმოება (იმიტომ, რომ არ იყიდება), არაა სამუშაო ადგილები, დასაქმება და ფული. ამასთან, რაც უფრო მეტია სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის რაოდენობა, მით უფრო რთულია ქვეყნისთვის სიღარიბის მანკიერი წრისგან თავის დაღწევა.

სიღარიბეს ბევრი მიზეზი აქვს, მათ შორის, სუბიექტურიც (სიზარმაცე, გაუნათლებლობა, ამბიციურობა, და ა.შ.), მაგრამ სიღარიბის მხოლოდ პიროვნულ-სუბიექტურ ფაქტორებზე დაბრალება სწორი არ იქნება. **უმრავლეს შემთხვევაში, დამნაშავე მდიდრების ინტერესებზე მორგებული ეკონომიკური სისტემებია, რის გამოც ადამიანთა უმრავლესობას სამეწარმეო საქმიანობაში (ბიზნესში) ჩართვისა და საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება არ ეძლევა.**

სიღარიბე მართლაც საშინელი რამეა. იგი შინაარსლილობის გამოწვევის წინაპირობაა. ამიტომ, სანამ ყოველივე ზემოთქმული სამოქალაქო დაპირისპირებაში არ გადაზრდილა, იგივე ჰობსის მიხედვით **ხელისუფლება ვალდებულია, დაამყაროს მშვიდობა ქვეყნის შიგნით და იზრუნოს საკუთარი მოქალაქეების გამდიდრებისთვის.**

მაბერიალიზებული თავისუფლება ყველას! რატომ უნდა გავამდიდროთ ხალხი და ვაქციოთ მესაკუთრეებად

იშვიათი გამონაკლისის გარდა, კეთილდღეობის მაღალი დონე მაღალი დემოკრატიის ქვეყნებშია, სადაც თავისუფალი და ობიექტური არჩევნები ტარდება, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაშია შესაძლებელი კომპეტენტური ხელისუფლების არჩევა, რომელსაც ხალხისა და ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის უნარი აქვს.

დემოკრატიის საფუძვლის – თავისუფალი და ობიექტური არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელია ყველაზე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ფაქტორის – **თავისუფალი ამომრჩევლების** არსებობა, რომლებიც გარედან ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე გააკეთებენ თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანს.

თავისუფალ პოლიტიკურ არჩევანს ეკონომიკურად თავისუფალი ადამიანები აკეთებენ (თავისუფლება უფრო ეკონომიკური კატეგორიაა, ვიდრე პოლიტიკური). ამდენად, ადამიანები, უპირველესად, **ეკონომიკურად თავისუფლები** უნდა გავხადოთ!

ეკონომიკურად თავისუფალია ადამიანი, თუ ის ფლობს საკუთრებას, ქონებას, რომელიც მას ნორმალური არსებობისთვის აუცილებელ შემოსავალს აძლევს. სამუელ ჯონსონის მტკიცებით, **ადამიანი ყველაზე უფრო მაშინაა თავისუფალი, როცა მნიშვნელოვანი ღირებულების აქტივების მფლობელია.** „ნამდვილი ინდივიდუალური თავისუფლება არ არსებობს ეკონომიკური უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის გარეშე“ – მრავალი წლით ადრე შენიშნა ეს მარქსმა. **„საკუთრებამატერიალიზებული თავისუფლებაა“** – მოკლედ მოჭრა ფულიემ.

> **შეიკრა ლოგიკური ჯაჭვი: ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია დემოკრატია, დემოკრატიისთვის – თავისუფალი ამომრჩეველი, თავისუფალი ამომრჩევლისთვის – საკუთრება. ე.ი. დემოკრატიის ქვაკუთხედი საკუთრების მქონე ამომრჩეველია.**

აქედან გამომდინარე, გვინდა დემოკრატიულ, ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოში ვიცხოვროთ, ხალხს, ადამიანებს უნდა გავუჩინოთ შემოსავლის მომტანი საკუთრება, გავხადოთ ისინი **მესაკუთრეები, მქონებელნი! საკუთრების განცდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ადამიანის პიროვნული მდგრადობისთვის.**

რომელი ეკონომიკური სისტემა სჯობს: სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი?

იმის მიხედვით, თუ რა შესაძლებლობებს იძლევა ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური სისტემა შემოსავლების მიღებასა და ქონების შეძენა-დაგროვებაში, ადამიანები მსჯელობენ სისტემის ავკარგიანობაზე. ის სისტემა, რომელიც უკეთეს პირობებს ქმნის ადამიანების საქმიანობისთვის, უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და ცხოვრების უფრო მაღალ დონეს, არის უმჯობესი და არჩევანიც მის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს.

ვისაც სოციალიზმის პირობებში უცხოვრია, კარგად ახსოვს ამ სისტემის თავმოსაწონი მხარეები: საყოველთაო დასაქმება, სოციალური დაცულობა, უფასო განათლება, ჯანდაცვა და სპორტი, თანასწორობა, მომავლის იმედი და სხვ., მაგრამ სოციალიზმს თან ახლავს უდიდესი ნაკლოვანებებიც: თავისუფლების შემზღუდავი ტოტალიტარიზმი, კერძო საკუთრების უგულებელყოფა, არაეფექტიანი გეგმიური ეკონომიკა, პროდუქციის დეფიციტი, გაუპიროვნებელი სოციალისტური საკუთრება, ტოტალური კორუფცია და ა. შ.

კაპიტალიზმს ბევრ ისეთ სიკეთესთან ერთად, როგორიცაა კერძო საკუთრება, დემოკრატიული თავისუფლებები, თავისუფალი კონკურენცია, პროდუქციის სიუხვე, „თანაბარი შესაძლებლობები“ და სხვ., ბევრი მანკიერებაც სდევს თან: უმუშევრობა, დიდი ქონებრივი უთანასწორობა, კრიმინალი, სიდუხჭირე, გაუცხოება...

მიუხედავად ჩამოთვლილი მანკიერებებისა, თუ ვთანხმდებით, რომ ამქვეყნად ყველაზე დიდი ღირებულება თავისუფლებაა („თავისუფლების შვენაი სჯობს საშოვნელსა ყველასა“), მაშინ სოციალიზმთან შედარებით უპირატესობა თავისუფლების საფუძველზე – კერძო საკუთრებაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემას უნდა მიენიჭოს.

რა საჭიროა მთავრობა, თუ ეკონომიკას არ მიხედავს?

კარგი იყო, ისე, როგორც დასავლეთ ევროპაშია, ეკონომიკა ჩვენთანაც ბუნებრივი ისტორიული პროცესის გზით თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე განვითარებულიყო, მაგრამ, რადგან ეს მომენტი ხელიდან გაშვებულია, ახლა აღარაა დრო, 70 წელი ველოდოთ. სანამ თავისუფალი კონკურენცია ევროპული ცხოვრების დონეს მიგვაღწევინებს, ამიტომ არსებულ ვითარებაში ეკონომიკის დაჩქარებულ განვითარებაზე პასუხისმგებლობა მთავრობამ უნდა აიღოს და არ მიანდოს ის მხოლოდ ბაზრის „უხილავ ხელს“ – თავისუფალ კონკურენციას.

ეკონომიკაში მთავრობის ჩაურევლობის ლიბერტარიანულმა პოლიტიკამ ის მოიტანა, რომ 2007-2017 წლებში პირდაპირი ინვესტიციების სახით შემოსული 15 მილიარდი(!) დოლარის მიუხედავად, ქვეყანაში სიღარიბის დონე არ შემცირებულა.

იმის გამო, რომ მთავრობა არ ერეოდა ინვესტიციებისთვის საჭირო მიმართულებების მიცემაში, ქვეყანაში ძირითადად სპეკულაციური ინვესტიციები (როცა ხდება აქტივების იაფად ყიდვა და ერთი-ორი წლის შემდეგ მისი ძვირად გადაყიდვა) შემოდიოდა.

> **სპეკულაციური ინვესტიციის თვალსაჩინო მაგალითებია საქართველოს საზღვაო სანაოსნოს, მადნეულის, ჭიათურმანგანუმის, ზესტაფონის „ფეროს“, ფოთისა და ბათუმის პორტებისა და ტერმინალების, „ბორჯომის“ და სხვა საწარმოების შესაძენად ჩადებული ინვესტიციები.**
>
> **ასევე „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების“ შედეგად გასხვისდა რუსთავის „აზოტი“, „ელმავალმშენებელი“, თითქმის მთელი ქართული ჰიდრო და თბოგენერაცია, ელექტროენერგიისა და გაზის განაწილების კომპანიები, საბანკო სექტორი, „თბილისის წყალი“, ნავთობტერმინალები და ნავთობმომარაგება და ა. შ. – საქართველოს ეკონომიკის 250-მდე უმსხვილესი ობიექტი.**

გაყიდული და გადაყიდული ობიექტების საბაზრო კაპიტალიზაცია ახლა ისეთი რაოდენობის თანხებს შეადგენს, საეჭვოა, მათმა შთამომავლობამ ოდესმე მათი უკან გამოსყიდვა მოახერხოს.

თავისუფალი კონკურენცია, მართალია, საუკეთესო, მაგრამ არა ერთადერთი გზაა ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად. მით უფრო, გლობალიზაციისა და ღია საზღვრების პირობებში, როცა ჩამორჩენილ ქვეყნებს ღია საბაზრო ეკონომიკით არავითარი შანსი არ აქვთ, კონკურენცია გაუწიონ განვითარებულ ქვეყნებს, რომელთა ინტერესებში არ ზის სხვა ქვეყნების ეკონომიკების განვითარებით თავიანთი ეკონომიკებისთვის კონკურენტების შექმნა. მათ ჩამორჩენილები საკუთარი სამრეწველო პროდუქციის გასაღების ბაზრების სახით სჭირდებათ. ამიტომ არ ეცდებიან ისინი ჩამორჩენილი ქვეყნების ეკონომიკების განვითარებას, რის გამოც **ეს უკანასკნელნი ყოველთვის ჩამორჩენილები იქნებიან, თუ მათ განვითარებაზე ადგილობრივმა ეროვნულმა ხელისუფლებებმა არ იზრუნეს.**

გაჭირვებულ ხალხში სიმშვიდე ვერ დაისადგურებს

როგორც „დაიკავე უოლ-სტრიტის“ ამერიკულ-ევროპულმა და სულ ახლახან „ყვითელი ჟილეტების“ მასშტაბურმა აქციებმა დაგვანახა, უზარმაზარი ქონებრივი უთანასწორობის, უსამართლო პრივატიზაციის თუ სხვადასხვა გზით მიტაცებული ქონების სამართლიანი გადანაწილებისა და ლეგიტიმაციის პრობლემა მთელ მსოფლიოში დგას. ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის 5% ფლობს მთელი სიმდიდრის 80-90%-ს, ხოლო მილიონობით ადამიანი გაჭირვებაში იმყოფება, სიმშვიდე ვერ დაისადგურებს. სამართლიანობის მხრივაც ის, რაც მთელ ქვეყანას ეკუთვნის: ბუნებრივი მონოპოლიები, პორტები, რკინიგზა, სტრატეგიული და საარგებლო წიაღისეული, მათ მოპოვება-გადამუშავებაზე დაფუძნებული ქარხნები, ტყეები, მდინარეები, სახელმწიფო სახსრებით შექმნილი მსხვილი ენერგეტიკული ობიექტები და ა.შ., მთლიანად ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა მის ერთ ნაწილს ან ჯგუფს. იმისგან, რაც ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს, სიკეთე, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველამ უნდა მიიღოს.

ეკონომიკაში კი სიკეთის გადანაწილების ყველაზე კარგი და სამართლიანი გზა აქციონირებაა.

ქონება სამართლიანად უნდა გადანაწილდეს, მაგრამ როგორ?

ქონების სამართლიან გადანაწილებაში არ ვგულისხმობთ, რომ დაჯდება ვინმე „მოსამართლე და მოწყალე“ ქვეყნის სათავეში და დამსახურების მიხედვით ჩამოარიგებს ქონებას. დამსახურების მიხედვით ქონების სამართლიანი გადანაწილება შეუძლებელია. „თუ შევეცდებით, ყველას თავისი კუთვნილი მივაგოთ, შინააშლილობა გარდაუვალი იქნება,“ – აფრთხილებდა თანამედროვეებს ბლეზ პასკალი. ჩვენ ვგულისხმობთ ხელისუფლების ვალდებულებას, ისე მოაწყოს ეკონომიკური ცხოვრება, ეკონომიკის ისეთი მექანიზმი შექმნას, რომ სურვილის შემთხვევაში, ყველას ჰქონდეს შესაძლებლობა არამარტო ფიზიკურად მიიღოს მონაწილეობა საერთო ეროვნული პროდუქტის შექმნაში, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში აქციების სახით შეიძინოს კიდეც მისთვის სასურველი საწარმოს სამოქმედო საშუალებების ნაწილი, გახდეს საწარმოს თანამფლობელი, მესაკუთრე, რაც საერთო მოგებიდან აქციების შესაბამისი კუთვნილი წილის მიღების უფლებას მისცემს.ამ გზით ასიათასობით მოქალაქეს გაუჩნდება შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მათ ნორმალურ არსებობას, ხოლო სახელმწიფოში – სტაბილურობას.

როცა ამა თუ იმ დარგში **სამრეწველო ინვესტიციები** იგვიანებს, მთავრობას უფლება უნდა ჰქონდეს, სხვადასხვა საინვესტიციო ფონდებთან ერთად დააფინანსოს საჭირო საწარმოების მშენებლობა და სიმძლავრეების მოქმედებაში შეყვანისთანავე მოახდინოს მათი პრივატიზება მოსახლეობაზე მასობრივი აქციონირების გზით.

აქციონერებისთვის საჭირო ფინანსების ერთი ნაწილი შესაძლებელია მოზიდული იქნეს ამ საწარმოებში დასაქმებული მუშაკების ხელფასებიდან (მათი სურვილისა და თანხმობის შემთხვევაში), ხოლო დანარჩენი – მოსახლეობის დანაზოგებიდან და უძრავი ქონების რეალიზაციიდან.

პერსპექტიული, ეფექტიანი საწარმოების არსებობისას მოსახლეობის საკმაო ნაწილი გამოძებნის საშუალებას აქციების შესაძენად საკუთარი უძრავი ქონების (მიწის, ბინის, აგარაკის, ძვირფასი ნივთების) ან მისი ნაწილის გაყიდვის გზით, რითაც პირდაპირ ინვესტირებას მოახდენს ქვეყნის ეკონომიკაში. უამრავ ადამიანს აქვს მეწარმეობისა და ბიზნესის დაწყების სურვილი, მაგრამ დამოუკიდებელი ბიზნესის გამართვისათვის საჭირო ოდენობის თანხები და გამოცდილება ბევრს არ გააჩნია. მზა საწარმოებში კი, სადაც მათი პარტნიორები გამოცდილი ბიზნესმენები და მენეჯერები იქნებიან, გაბედულად დააბანდებენ საკუთარ სახსრებს.

ეს არის გზა საქართველოში ჩამოყალიბებული „მეწილეთა“ ველური კაპიტალიზმიდან“ (როგორც მას უილიამ ჰატონმა შეარქვა) უფრო სამართლიან სახელმწიფომდე, სადაც, მართალია, მდიდრებიც იქნებიან და ღარიბებიც (სახელმწიფო ყველას ერთდროულად ვერ გაამდიდრებს), მაგრამ ქონებრივი განსხვავება მათ შორის აღარ იქნება ისეთი კატასტროფული, რო-

არ გაღარიბდება!

გორიც დღესაა, ხოლო ასიათასობით ადამიანს მიეცემა სიღარიბისგან თავის დაღწევის და ნორმალური ცხოვრების შანსი.

რა დაუბარა ჩერჩილმა მდიდრებს და რას ამბობს „ბრწყინვალე გონება“

ცხადია, დაისმება კითხვა – რატომ და რისთვის დათანხმდებიან მდიდრები თავიანთი სიმდიდრისა და ძალაუფლების საფუძვლის, წარმოების საშუალებებზე საკუთრების გადანაწილებას ხალხზე? ხელისუფლება ხომ იმათი მსახურია, ვინც წარმოების საშუალებებს ფლობს?

რასაკვირველია, მქონებელნი ხალისით არ დათანხმდებიან ქონების გადანაწილებას, მაგრამ ისინი საკმაოდ გონიერი ხალხია და იციან, რომ **„ღატაკთა კვნესის წამყრუებელი თავადაც იყვირებს, მაგრამ არ იქნება შეწყნარებული,“** ამიტომ ჩათრევას (რევოლუციას და ყველაფრის დაკარგვას) ჩაყოლას – ქონების გადანაწილებას ამჯობინებენ.

მეორე – როგორც მდიდრებს ჩერჩილმა დაუბარა, „კეთილდღეობა (მათი) სტაბილური რომ იყოს, ის საყოველთაო უნდა იყოს!“

მესამეც – გონიერი ხალხი ადვილად გააცნობიერებს, რომ ადამ სმიტის მიერ აღწერილი ეკონომიკურო პროცესი, როცა თავისუფალ ბაზარზე ყველა მხოლოდ საკუთარი თავის სასარგებლოდ მოქმედებს, არაოპტიმალურია. „ბრწყინვალე გონების“ – ჯონ ნეშის თეორიის თანახმად, გაცილებით გონივრულია მიდგომა, როცა მოპირისპირე მხარეს მდგომს არა ოპონენტად, არამედ პარტნიორად აღიქვამ, რომლის მდგომარეობის გაუმჯობესებით საკუთარ მდგომარეობასაც იუმჯობესებს. სწორედ ასე მოხდება აქციების მეშვეობით წარმოების საშუალებების გადანაწილებისას. აქციების შემძენთა მდგომარეობაც გაუმჯობესდება და არსებული მფლობელებისაც, რადგან მათ დიდი ოდენობის ფულადი სახსრები გაუჩნდებათ ბიზნესის (წარმოების) გაფართოებისთვის ან ახალი ბიზნესების საწარმოებლად.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა ძნელი მისაღწევია, მაგრამ, თუ ეს თანამშრომლობა ორივე მხარეს უკეთეს მდგომარეობაში აყენებს, ის მიიღწევა. მით უმეტეს, თუ ამას სახელმწიფოც შეუწყობს ხელს.

მდიდრების „სოლიდარობა“

რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ კაპიტალიზმი, ვერავინ უარყოფს, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ისეთ ცხოვრებაზე ოცნებობს, როგორიც დასავლეთ ევროპის ლიბერალური დემოკრატიის ქვეყნებში, ე. წ. „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოებშია.“

აშშ-სა და ზემონახსენები სახელმწიფოების წარმატებები როგორც ეკონომიკურ,ისე სოციალურ სფეროებში ნამდვილად შთამბეჭდავია. მისასალმებელია ამ ქვეყნების მმართველი ელიტების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტებიდან თითქმის 50%-მდე ფინანსების მიმართვა საპენსიო უზრუნველყოფის, ჯანდაცვისა და განათლების ხარჯებისთვის, დაზღვევაზე, უმუშევართა დახმარებებზე და ა.შ., მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტების ბუნება დიდად შეიცვალა – ისინი ყველა საშუალებით აგრძელებენ ქონების დაგროვებას და გამდიდრებას, რადგან მათი არსებობისა და ბატონობის ძირითად პირობას დაქირავებულთა ხარჯზე კაპიტალის დაგროვება წარმოადგენს და არა ღარიბთა სიყვარული და პატივისცემა. **„...გლახაკნი საძოვარია მდიდრისთვის“** – ორი ათასი წლის წინათ დააფიქსირა ეს ბიბლიურმა ზირაქმა.

„საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ მიერ მოსახლეობის სოციალური დაცვისთვის გაღებული სახსრები, რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ მისი („ს. კ. სახელმწიფოს“) გაფეტიშება მიმართულია იმისკენ, რომ როგორმე გააუბრალოონ, მიჩქმალონ წარმოების საშუალებების ფლობის გადამწყვეტი მნიშვნელობა შემოსავლებისა და მატერიალური დოვლათის განაწილებაში. **ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ წარმოების საშუალებების ფლობის უთანაბრობის საკითხი არ დაისვას, რომ აქცენტი გაკეთდეს „კეთილდღეობაზე“, ყალბ სოციალურ სოლიდარობაზე და არა წარმოების საშუალებების მეტ-ნაკლებად სამართლიანი გადანაწილების აუცილებლობაზე, როგორც მოსახლეობის სტაბილური კეთილდღეობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე.**

„სოციალური კეთილდღეობის სახელმწიფოს“ ფარგლებში მდიდრების ხელისუფლებათა მიერ სახელმწიფო შემოსავლების გადანაწილება ნაკლებშემოსავლიანთა და ღარიბთა სასარგებლოდ იძულებითი ღონისძიებაა, რომელიც დროებით ანელებს დაპირისპირებას მქონებელთა და უქონელთა შორის. ასეთი „ სოლიდარობით“ მდიდრები საკუთარ უსაფრთხოებას ყიდულობენ და წარმოების საშუალებებზე თავიანთ საკუთრებას იცავენ. **ნამდვილი სოლიდარობა არა სოციალური დახმარებების გაწევასა და გაცემაშია, არამედ პარტნიორობაში წარმოების საშუალებების გადანაწილებისას.**

ფრანგების სოლიდარობა

სოლიდარობის, ანუ ინტერესთა ერთიანობის, თანაგრძნობის, ვინმეს მოქმედების ან აზრის მხარდაჭერის იდეა სამყაროსავით ძველია.

სოლიდარობა ჰუმანური, ზოგადადამიანური პოსტულატია, დამყარებული რელიგიურ და ეთიკურ პრინციპებზე, სახელმწიფოებრივ სამართალზე, დაწერილ თუ დაუწერელ კანონებზე, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის საფრანგეთში მწყობრ პოლიტიკურ-ეკონომიკურ თეორიად – **სოლიდარიზმად** ჩამოყალიბდა.

სოლიდარულობა მორალური იდეაა. მასზე დაფუძნებული თანაცხოვრების სისტემა – სოლიდარიზმი. იგი შეიქმნა იმისთვის, რომ თავიდან იქნას აცილებული დაპირისპირება კერძო (ინდივიდუალურ), საზოგადოებრივ (კორპორატიულ) და სახელმწიფო ინტერესებს შორის. ფრანგი სოლიდარისტების აზრით **სახელმწიფოს ჩაურევლად ეკონომიკური უთანაბრობის უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება.** ამავე დროს, სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქცია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში – ეკონომიკური კრიზისების დროს უნდა ჰქონდეს.

სოლიდარისტები უარყოფენ ინდივიდის სრულ და შეუზღუდავ, ანარქიაში გადასულ თავისუფლებას. „ყოველი ადამიანი დაბადებიდან საზოგადოების მოვალეა“, რადგან დაბადებიდანვე სარგებლობს საზოგადოების მიერ შექმნილი სიკეთეებით და მისი ნიჭი და უნარების რეალიზება მხოლოდ საზოგადოების შიგნით და საზოგადოების მხარდაჭერით შეიძლება, – ამბობდა ლეონ ბურჟუა. როცა ინდივიდუალისტური ინტერესი მკვეთრად უპირისპირდება საზოგადოებრივ ინტერესებს, სახელმწიფოს უფლება და მოვალეობაა შეზღუდოს ინდივიდუალური უფლებები, რადგან უკიდურესი ინდივიდუალიზმი ასუსტებს კულტურულ სახელმწიფოს.

ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია

უსამართლოდ მივიწყებულ ფრანგულ სოლიდარიზმს, რომელმაც ფეხზე დააყენა საფრანგეთის მესამე რესპუბლიკა, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების იტალია და გერმანია, გარკვეული კორექტივების გათვალისწინებით დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია თანამედროვე სახელმწიფოებისთვისაც.

ფუკუიამას მიერ ლიბერალური დემოკრატიის საუკუნო ზეობისა და ისტორიის დასასრულად გამოცხადებული „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოები“ კეთილდღეობაში იმიტომ არიან, რომ მათ „ეკონომიკურ სასწაულებს“ სოლიდარისტული პრინციპები (ინდივიდუალური, საზოგადო და სახელმწიფო ინტერესების შეთანაწყობა, კოოპერაციული გაერთიანებების სრული თავისუფლება, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირება, აქციონირება) უდევს საფუძვლად და მათი ქებული სოციალური საბაზრო ურთიერთობებიც ფრანგული სოლიდარიზმის იდეებითაა ნასაზრდოები. რაც ამ ქვეყნების ნაკლოვანებებს განაპირობებს, ესაა წარმოების საშუალებების (კაპიტალის) უთანაბრო, არასოლიდარული განაწილება საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის.

არც კაპიტალიზმი, არც სოციალიზმი, არამედ ქმედითი სოლიდარიზმი!

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სოციალიზმსაც და კაპიტალიზმსაც თავიანთი დადებითი მხარეები აქვთ, მაგრამ ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ეკონომიკური სისტემების მექანიკური შეჯვარება შეუძლებელია, რადგან სოციალიზმი ძირშივე უარყოფს თავისუფლების საფუძველს – კერძო საკუთრებას. ამიტომაც ეგრეთ წოდებული „სოცკაპი“ (სოციალისტური კაპიტალიზმი) არ გამოვა.

საკუთრების ფორმის შეუცვლელად არც სოციალიზმის გადაკეთება და გაუმჯობესება გამოდის. ეკონომიკური ეფექტიანობის მხრივ სახელმწიფო საკუთრება აშკარად აგებს კერძო საკუთრებასთან და თვალსაწიერ მომავალში მას პერსპექტივა არ აქვს.

იმისთვის, რომ დამყარდეს ნამდვილად საყოველთაო კეთილდღეობა, ჩვენ მიერ ნაჩვენები საყოველთაო აქციონირების გზით უნდა გაუმჯობესდეს კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ყველაზე პროგრესული ტიპი – ლიბერალ-დემოკრატიული „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო), მაგრამ **ჭეშმარიტად საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფო საყოველთაო ქმედითი სოლიდარობის გარეშე ვერ შეიქმნება.**

ქმედითი სოლიდარობის ქვეშ ვგულისხმობთ მდიდართა (მფლობელთა) თანხმობას აქციონირების საშუალებით **საქმიან პარტნიორებად გაიხადონ მოსახლეობის ფართო ფენები.** სურვილის შემთხვევაში ყველას უნდა მიეცეს შესაძლებლობა გარკვეული შეღავათებით (განვადებით, უპროცენტო და დაბალპროცენტიანი კრედიტებით) შეიძინოს მისთვის სასურველი ნებისმიერი საწარმოს აქციები და გახდეს საწარმოების არსებულ მფლობელთა **პარტნიორები.**

საყოველთაო აქციონირების მხარდასაჭერად და განსახორციელებლად უნდა შეიქმნას სოლიდარობის ერთიანი ბანკი, რომლის საკრედიტო რესურსი სახელმწიფოს საწესდებო ფონდის გარდა შეივსება მსხვილი კერძო საწარმოების ყოველთვიური შენატანებით. ნამდვილი ქმედითი სოლიდარობა სწორედ ეს იქნება. **„ვინც ღარიბს აძლევს, არ გაღარიბდება. ვინც თვალებს ხუჭავს, გაღარიბდება“,** – გააფრთხილა სოლომონ ბრძენმა მდიდრები. „რასაცა გასცემ, შენია...“-ო, – გვიანდერძა რუსთაველმა.

პარტნიორობა წარმოების საშუალებების ფლობაში არის გზა **ფსევდო** „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოდან) **ჭეშმარიტად** საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფომდე. კლასთაშორისი სოლიდარობა სწორედ წარმოების საშუალებების ერთობლივ ფლობაში – **პარტნიორობაში** გამოიხატება.

თუ „საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს“ თავისი კერძო საკუთრებითა და დემოკრატიული თავისუფლებებით, თავისუფალი კონკურენციითა და სოციალური დაცვის საკმაოდ მაღალი დონით „გავაძლიერებთ“ კაპიტალის მეტ-ნაკლებად საყოველთაო სამართლიანი გადანაწილებით მოსახლეობის უმრავლესობაზე და სოციალური დაცვის სერვისებიც გაფართოვდება უფასო ჯანდაცვით, განათლებითა და საბინაო უზრუნველყოფით (უმწეოთათვის), **მივიღებთ რაციონალურ პრინციპებზე დაფუძნებულ პარტნიორულ, სოციალურად სოლიდარულ საზოგადოებას, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ეწოდოს ქართული სოლიდარიზმი (პარტნიორიზმი).**

ნეოლიბერალებისა და ლიბერტარიანელების გასაგონად კი ვიტყვი, რომ **ეკონომიკა უნდა იყოს არა ლიბერტარიანული ან არალიბერტარიანული, არამედ რაციონალური, სასარგებლო მოსახლეობის უმრავლესობისთვის.**

ახალი უტოპია თუ გზა ნამდვილად საყოველთაო კეთილდღეობისკენ?

სოლიდარიზმი შემრიგებლური იდეოლოგიაა. ერთი შეხედვით, ის შეიძლება არც ისე მიმზიდველი ჩანდეს, რადგან ადამიანების უმრავლესობას რადიკალური, რევოლუციური იდეები ხიბლავს, მაგრამ **რა უნდა იყოს საყოველთაო აქციონირების შედეგად ქონების ნებაყოფლობით, სამართლიან გადანაწილებაზე უფრო რევოლუციური, თან მშვიდობიანი იდეა?**

სოლიდარიზმის დროს, კერძო საკუთრების პირობებში, რეალურად განხორციელდება მშრომელების სანუკვარი ოცნება – „მიწა გლეხებს, ფაბრიკა-ქარხნები – მუშებს) პრინციპით **– საკუთრება ყველას!** მიწა, პლანტაციები (როგორც ინდივიდუალურად, ისე კორპორატიულად), ფაბრიკა-ქარხნები და საწარმოები რეალურად, გაპიროვნებულად, აქციების წილის შესაბამისად მშრომელების საკუთრებაშიც იქნება და არამარტო მდიდრების! ეს არის გზა საყოველთაო თანხმობისა და კეთილდღეობისაკენ.

გიორგი თავაძე.
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი.

P. S. **ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, ქართულ სოლიდარიზმს (ისევე, როგორც ყველაფერ ახალს) მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდება. ზოგი მასში პოლიტიკურ იდეალიზმს დაინახავს, ზოგიც ახალ უტოპიად აღიქვამს.**

სოციალისტებს არ მოეწონებათ სოლიდარიზმში კერძო საკუთრების უპირატესობის აღიარება, საყოველთაო თანასწორობაზე და ქონების ძალისმიერი გადანაწილების (წართმევის) რევოლუციურ გზაზე უარის თქმა. ნეოლიბერალებს და ლიბერტარიანელებს – მეტ-ნაკლებ, მაგრამ მაინც თანასწორობაზე და სახელმწიფოს მარეგულირებელ ფუნქციაზე ხაზგასმა; სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა მასში, შესაძლოა, კერძო საკუთრებისა და ადამიანის უფლებების შეზღუდვის საფრთხე „აღმოაჩინონ“ და ა.შ., მაგრამ როგორც გენიალურად შენიშნა ჰელდერლინმა – „სადაც საფრთხეა, გადარჩენა სწორედ იქ არის!“

ვისაც მოგეწონათ სოლიდარობის იდეა, გთხოვთ, დაგვირეკოთ ან დაგვიმესიჯოთ ნომერზე 558 42 01 10.

გ. თ.

ანონსი — „ნამალი ხშირად მწარეა“!

ხვალის ნომერში გთავაზობთ ხელისუფლების ყველა შტოსთვის სასარგებლო და „საამო“ კრიტიკულ წერილს, რომლის ავტორია ოკეანედალეული, ამერიკაში წლობით ნამუშაკევი, მოღვაწე კაცი, ექიმი და პუბლიცისტი იაკობ ლეჟავა...

რუსეთი, საქართველო და უკრაინა – რას გვასწავლის ისტორია

***გერმანული** რადიოს Deutschlanfunkveb-ის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტატია-რეპორტაჟი ეხება რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებას ქერჩის სრუტესა და აზოვის ზღვის აკვატორიაში. მასალაში აღწერილია აზოვის ზღვის ნაპირზე მდებარე უკრაინის ნავსადგურის მარიუპოლის მდგომარეობა, რომელიც რუსული საზღვაო ბლოკადის გამო ფაქტიურად ტვირთების გარეშეა დატოვებული. განხილულია ორივე მხარის პოზიციები და მიზნები, უკრაინელი პოლიტოლოგების თვალსაზრისები: „შავ ზღვაში აუცილებლად უნდა შემოვიდეს ნატოს ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ფლოტი, თორემ რუსეთი უკრაინის წინააღმდეგ აგრესიას ზღვიდანაც განახორციელებს“. მაგრამ შემოვა კი? გადადგამს ნატო ამ ნაბიჯს? არსებობს თუ არა რაიმე გამოცდილება ამ მიმართულებით?*

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს თომას ფრანკეს ავტორობით გამოქვეყნებული ვრცელი სტატიიდან:

გადავიხედოთ ახლო წარსულში: 2008 წლის აგვისტო. საქართველო რუსეთს ეომება, ამ დროს კი ფოთის ნავსადგურში საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი უკვე ფსკერზე განისვენებს: **რვა სამხედრო ხომალდი რუსეთის ავიაციის დაბომბვის შედეგად რამდენიმე წუთში ჩაიძირა. ფოთისაკენ რუსეთის არმიის ქვედანაყოფები სახმელეთო გზებითაც მიდიან, გზადაგზა კი ყველაფერს ძარცვავენ და საკონტროლო-გამსვლელ პუნქტებს აწყობენ. ფოთის სამხრეთით კი, 70 კილომეტრზე, შავი ზღვის კიდევ ერთ სანავსადგურო ქალაქ ბათუმში აშშ-ის უზარმაზარი ნაღმოსანი დგას, რომელმაც რუსეთთან მეომარ ქართველებს... ამერიკიდან ჰუმანიტარული დახმარება ჩამოუტანა.**

მცურავი ამწის თმაჭაღარა კაპიტანი შიშველ ტორსზე ზოლებიან პერანგს იცვამს. 2008 წლის აგვისტოში მისი ამწის ეკიპაჟი მთელი დღე ამერიკული ნაღმოსნის მიერ ჩამოტანილი ჰუმანიტარული ტვირთის ნაპირზე გადმოტანით იყო დაკავებული. **„იცით, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ამიტომ დიდი სახელმწიფოები იმას გვიკეთებენ, რასაც თვითონ მოისურვებენ. არ მინდა ვინმემ უსეშობა დამწამოს, რუსეთში მე ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ რუსების მხრიდან ძალის ასეთი სახით გამოყენება არასწორი იყო“,** – ამბობს კაპიტანი.

ათი წლის წინათ მცურავი ამწის ეკიპაჟი ვარაუდობდა, რომ რუსეთის შავი ზღვის ფლოტი ამერიკის სამხედრო ხომალდის წინააღმდეგ შეტევას ვერ გაბედავდა. ისინი მართლები აღმოჩნდნენ. უფრო მეტიც – ამერიკამ განაცხადა, რომ საქართველოში კიდევ ორ სამხედრო ხომალდს გაგზავნიდა ჰუმანიტარული დახმარებით. გარდა ამისა, იმ დროს შავ ზღვაში გერმანიისა და ესპანეთის ხომალდებიც იმყოფებოდნენ.

თუმცა ეს იყო და ეს. ამით ყველაფერი დასრულდა. ქართველებს 2008 წლის აგვისტოში – ისევე როგორც დღეს უკრაინელებს – აშშ-საგან და ნატო-საგან უფრო აქტიური ჩარევის იმედი ჰქონდათ, მათ შორის „მაპ“-ის მიღების იმედიც, მაგრამ რად გინდა – 2008 წლის აპრილში ბუქარესტის სამიტზე ორივე ქვეყნისადმი ნატოს მიერ მიცემული დაპირება დღემდე შეუსრულებელია.

NATO, ანუ NO ACTION, TALKING ONLY

უკრაინის ინფრასტრუქტურის მინისტრი ვლადიმერ ომელიანი დარწმუნებულია, რომ ქვეყანა რუსეთთან ხანგრძლივი კონფლიქტისათვის უნდა მოემზადოს:

„უინსტონ ჩერჩილს უთქვამს: დიახ, მშვიდობა მაშინ დაისადგურებს, როცა ჩვენ ომს მოვიგებთო. ჩვენც ეს ომი, მეგობრების დახმარებით, უნდა მოვიგოთ. არ ყოფილა შემთხვევა, რომ უკრაინა რუსეთში შეჭრილიყო. უკრაინას რუსეთის ტერიტორიები არ დაუკავებია. პირიქით – რუსეთმა მიიტაცა ყირიმი და დონბასის რეგიონი. მოსკოვი ასეთნაირად მოექცა საქართველოს 2008 წელს და დაინახა, რომ დასავლეთმა ამაზე ძალზე თავშეკავებული რეაგირება გამოხატა. ჰოდა, რუსეთმაც იფიქრა – არაფერი არ მოხდება, თუ დღეს ჩვენ საქართველოს დავიკავებთ, ხვალ უკრაინას და შემდეგ შეიძლება, ბალტიისპირეთსაც. არავინ არაფერს იტყვის“, – ამბობს მინისტრი.

დღეს ბევრი უკრაინელისათვის აბრევიატურა NATO ასე იშიფრება – No Action, Talking Only („არავითარი მოქმედება, მხოლოდ ლაპარაკი“), ანუ ნატოელები მხოლოდ ყბედობენ და რეალურად არაფერს აკეთებენ. და მართლაც გავიხსენოთ – ერთი წელიც არ იყო გასული რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომ აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თავის რუს კოლეგა სერგეი ლავროვთან ერთად თითი დააჭირა „ურთიერთობების გადატვირთვის“ ამსახველ სიმბოლურ ღილაკს...

დასავლეთის გაუბედაობამ რუსეთის მიმართ ბალტიისპირეთის ქვეყნების მოსახლეობას სამხედრო მზადყოფნის გაძლიერებისაკენ უბიძგა. რუსეთის მოსაზღვრე რეგიონების მცხოვრებლებმა საკუთარი ოჯახებისათვის ბუნკერების მშენებლობა დაიწყეს, რადგან რუსეთის მთავრობისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მით უმეტეს, რომ ესტონეთი, ლატვია და ლიეტუვა ნატოს წევრები არიან. ისინი შეშფოთებულები არიან იმით, რასაც დამკვირვებლები ვარაუდობენ: რუსეთმა ნატოს თავდაცვის სიმტკიცე შეიძლება ბალტიის ქვეყნების მაგალითზე შეამოწმოს, ნაკლებმნიშვნელოვანი ხანმოკლე შეტევით, რომლის შედეგად რუსეთი, ვთქვათ საზღვარს ორასიოდე მეტრით გადასწევს.

„DEUTSCHLANDFUNK“ (გერმანია)

რატომ ვერ გახდა ირანი საქართველოს მეგობარი?!

რუსული გამოცემის „Вестник Кавказа“-ს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში განხილულია საქართველოსა და ირანის ურთიერთობის პრობლემები, რომლებმაც ბოლო ხანებში იჩინა თავი ორი ისტორიული კავშირების მქონე მეზობლის ურთიერთდამოკიდებულებებში.

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის ქართულენოვან რეზიუმეს:

„საქართველოსა და ირანის ურთიერთობა ყოველთვიურად უარესდება. ცნობილი გახდა, რომ ქართული მხარის გამოისობით ჩაიშალა კონფერენცია თემაზე – „ირანელი ბიზნესმენების გამოწვევები საქართველოში“, რომელიც 14 დეკემბერს უნდა ჩატარებულიყო. საქართველომ უარი უთხრა ირანელ ბიზნესმენებს ქვეყანაში შემოსვლაზე“, – აღნიშნულია სტატიაში, რომელშიც ჩამოთვლილია ბოლო თვეებში მომხდარი ფაქტები, რომლებიც ირანის მოქალაქეების საქართველოდან გაძევებას (ან ქვეყნის ტერიტორიაზე მათ არშემოშვების) ასახავს, „არასწორი დოკუმენტების გამო“.

რასაკვირველია, ირანი საქართველოს მოქმედებით უკმაყოფილოა, მით უმეტეს, რომ ირანსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმი მოქმედებს. ირანის გაღიზიანებას იწვევს აგრეთვე თბილისის მცდელობები იმ მიზნით, რომ ირანელებს საქართველოში ბინადრობის მოწმობის მიღება გაუმკაცრონ: თანხის რაოდენობა „საინვესტიციო რეზიდენტობისათვის“, რომელიც ბინადრობის მოწმობისათვის არის საჭირო, გასამმაგდა. კიდევ ერთი მიზეზი: ირანელები მიწებს ყიდულობდნენ სასოფლო-სამეურნეო სარგებლობისათვის, მაგრამ ახალმა კონსტიტუციამ მიწების უცხოელებზე გაყიდვა აკრძალა.

თბილისში მუდმივად იმართება რადიკალური ორგანიზაციის „ქართული მარშის“ აქციები, რომელიც არ მალავს, რომ „ირანელების შემოსევის“ წინააღმდეგ გამოდიან. თეირანს წინა წლებში მომხდარი სხვა შემთხვევებიც ახსოვს, რომლებმაც ჩრდილი მიაყენა ორი ქვეყნის ურთიერთობებს, მაგალითად, როცა მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, 2010 წელს, თბილისში თეირანიდან ტურისტის სტატუსით ჩამოსული ირანელი ფიზიკოსი დააკავეს და რომელიც მოგვიანებით საქართველოს ერთ-ერთი სტრატეგიული პარტნიორის ტერიტორიაზე აღმოჩნდა...

საქართველო-ირანის ურთიერთობის სისტემური გაცივების მიზეზი, როგორც ჩანს, თბილისის საგარეოპოლიტიკურ ორიენტაციაშიც იმალება: საქართველო არა მხოლოდ აქტიურად ისწრაფვის, ნატოს წევრი გახდეს, არამედ თავის ტერიტორიაზე ხშირად აწყობს სამხედრო წვრთნებსაც ალიანსის წევრების მონაწილეობით, რასაც, თავის მხრივ, ირანი ფრთხილი თვალით უყურებს. სხვათა შორის, ამ გაუცხოების შემაკავებელი ეკონომიკური ფაქტორი არ არსებობს: საქართველოსა და ირანის ვაჭრობის მოცულობა ვერანაირად ვერ შეედრება სხვა მეზობელი ქვეყნების – თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის ირანთან ვაჭრობის მაჩვენებლებს.

„vestikavkaza“(რუსეთი)



როგორ ეხმარებოდა კრემლი ტრამპს გამარჯვებაში?

ოქსფორდის უნივერსიტეტის ანგარიში

ამერიკის სენატისთვის წარდგენილი ანგარიში ოქსფორდის უნივერსიტეტის კომპიუტერული პროპაგანდის პროექტის ფარგლებში შეიქმნა და მასში ანალიტიკური ფირმა „გრაფიკაც“ მონაწილეობდა. **„ვაშინგტონ პოსტს“ ანგარიშის გადახედვის საშუალება ჰქონდა და აცხადებს, რომ ამ ანგარიშის მიხედვით, რუსეთმა 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე დონალდ ტრამპის დასახმარებლად ყველა წამყვანი სოციალური მედია გამოიყენა, რისთვისაც ფართო სადეზინფორმაციო კამპანია გააჩაღა.**

პუბლიკაცია ანგარიშის შესახებ „ვაშინგტონ პოსტში“ კვირას გამოქვეყნდა. როგორც ირკვევა, სხვადასხვა მეთოდებს შორის, კრემლი ასევე ცდილობდა სამიზნეში ფერადკანიანი და ლიბერალური ჯგუფებიც ამოელო, რათა მათ არჩევნებში მონაწილეობის სურვილი დაეკარგათ. სამიზნეში ასევე იყვნენ ქალები, ეთნიკური უმცირესობები, იმიგრანტები, ვეტერანები და სხვა ჯგუფები. მათ გამიზნულად აბნევდნენ არეული და არასწორი საარჩევნო ინფორმაციით, მათ შორის იმაზე, თუ როგორ უნდა მიეცათ ხმა არჩევნებზე.

რუსულმა ჯგუფმა „ინტერნეტის კვლევის სააგენტო“ (IRA) სოციალურ მედიაზე გავლენის მეთოდების ტესტირება ამერიკაში ჯერ კიდევ 2009 წლის ადგილობრივ არჩევნებზე დაიწყო. სააგენტომ ოპერაციები მნიშვნელოვნად გაზარდა 2013 წელს და განსაკუთრებით გააქტიურდა 2016-ში, შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებზე. „ტვიტერთან“ და „ფეისბუქთან“ ერთად, რუსეთი წარმატებით იყენებდა „იუთუბის“ და „ინსტაგრამის“ ანგარიშებსაც.

ანგარიშის მიხედვით, აშკარად იკვეთება, რომ რუსული ჯგუფი რესპუბლიკური პარტიის ნომინანტს, მაშინ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო კანდიდატს, დონალდ ტრამპს ეხმარებოდა. ანგარიში ამერიკულ ტექნოლოგიურ კომპანიებსაც აკრიტიკებს „დაგვიანებული და არაკოორდინირებული რეაქციისთვის“, როცა აშკარა გახდა, რომ საქმეში გამიზნული დეზინფორმაცია ფიგურირებდა. ამ კომპანიებმა დაწყებული გამოძიების შემდეგ, ძიებას ინფორმაცია დროულად არ გაუზიარეს.

„ვაშინგტონ პოსტის“ წერილში ასევე ნათქვამია, რომ მათ შესთავაზეს „ფეისბუქს“ და „გუგლს“ ბრალდებებზე ეპასუხათ, თუმცა ჯერ პასუხი არ მიუღიათ. „ტვიტერი“ აცხადებს, რომ მათთან „2016 წლის არჩევნების შემდეგ ციფრული დაცვის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა“. შეერთებულმა შტატებმა 2016 წლის არჩევნებზე ჩარევისთვის უკვე წაუყენა ბრალი რუსეთის „ინტერნეტის კვლევის სააგენტოს“. სპეციალური გამომძიებელი რობერტ მალერი ტრამპის კამპანიის რუსეთთან შესაძლო გარიგების გამოძიებას აგრძელებს. თავად პრეზიდენტი დონალდ ტრამპი გარიგებას კატეგორიულად უარყოფს და მას გამუდმებით „კუდიანებზე ნადირობას“ უწოდებს.

AMERIKISKHMA.COM

ეროვნულ ფესვებზე ამოზრდილი

საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ეგიდით გამოიცა გამოჩენილი ქართველი მხატვრის, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის ზურაბ წერეთლის წიგნი-ალბომი „საუბრები გიორგი ჩიტაიასთან“ (იდეის ავტორი და შემდგენელი პროფესორი თამილა ცაგარეიშვილი).

ეს არის თხრობა მოგზაურობისა და ცოდნის დაგროვების შესახებ, რომელიც იწერებოდა ყოველდღიურად, ყოველწლიურად XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, ავტორის მიერ განვლილი ცხოვრების ნაკვალევზე, საქართველოს მთასა და ბარში, ციცაბო კლდეებსა თუ ალპური ზონის ყვავილოვან ველებზე.

ეს წიგნი-ალბომი, რომელიც უხვად არის დასურათებული ბატონ ზურაბის ნახატებითა და აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას, პროფესორების ჯულიეტა რუხაძის, მიხეილ გეგეშიძის და ნათელა მაისურაძის პირად არქივებში მოძიებული ფოტო და საველე მასალებით, გვაცნობს თუ როგორ იზრდებოდა შემოქმედებითად ზურაბ წერეთელი და როგორ ამყარებდა თვალსაზრისს, რომ ნიჭი, შრომისმოყვარეობა და მომავლის რწმენა ყოვლისშემძლეა, ხოლო ზურაბ წერეთლის ცხოვრების კრედო „გიყვარდეს ღმერთი შენი და მოყვასი შენი“, ღვთის სიყვარულით ცხოვრება და სიკეთის თესვა, უმთავრესია ცხოვრებისეული ბედნიერების მიღწევის გზაზე, — წერს წინათქმაში ცნობილი ეთნოგრაფი პროფ. თამილა ცაგარეიშვილი.

ზურაბ წერეთლის შემოქმედების საწყისი ეროვნული ფესვებიდან ამოიზარდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებლების პროფ. ვერა ბარდაველიძისა და აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხელმძღვანელობით, ეზიარა ქართულ მრავალსაუკუნოვან ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობას, ჩასწვდა ხალხური აზროვნების ფესვებს, ქართული ნაციონალური ხასიათის სულიერ ფასეულობებს.

ის გასული საუკუნის 60-იან წლებში თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ მოხვდა ეთნოგრაფთა სამეცნიერო წრეში, გ. ჩიტაიას დიდი კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიციების შეუცვლელი წევრი გახდა. მონაწილეობდა ხევსურეთის, ფშავის, თუშეთის, იმერეთის, კახეთის, ქართლის, სვანეთის მრავალჯერად ექსპედიციებში, ფეხით მოიარა საქართველოს ყოველი კუთხე-კუნჭული.

ზ. წერეთლის მხატვრული ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა აქამდე ცალკე თავმოყრილი და გამოცემული არ ყოფილა. იგი შინაარსობრივად მრავალფეროვანია და სრულ წარმოდგენას ქმნის ქართველი ხალხის ეთნიკურ, მატერიალურ, სოციალურ არსზე და კულტურაზე. მისი ეთნოგრაფიული ჩანახატები ემყარება გ. ჩიტაიას ეთნოგრაფიულ საუბრებსა და კვლევის შედეგებს. ეს ახალგაზრდა მხატვრის სულიერი საზრდოს ძიების წლებია, დაკვირვების საგანი — ქართველი ხალხი, მისი ცხოვრება და სულიერი კულტურა, გზის გამკვლევი კი გიორგი ჩიტაია — დიდი მოაზროვნე, რომელიც თავის მეხსიერებაში მთელი ქვეყნის განვითარების ისტორიას იტევდა.

გამოიცა ზურაბ წერეთლის წიგნი-ალბომი „საუბრები გიორგი ჩიტაიასთან“


ზურაბ წერეთელი
საუბრები
გიორგი ჩიტაიასთან
„ალბომი
„ალბომ
„ალბომ
„ალბომ

◎ ნდობა

ამიერიდან – გურამ მოდებაძე

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, გურამ მოდებაძე საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე დაინიშვნა.

გურამ მოდებაძე საქმიანობას ოფიციალურად, 27-28 დეკემბერს გასამართი საქართველოს ჩემპიონატიდან შეუდგება.

ამავე თანამდებობაზე ჯარჯი ზვიადაურის კანდიდატურაც სახელდებოდა.

კობა კობახიძე

◎ ოლიმპიზმი

დაამავე? – დაისაჯე

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) 11 რუსს სპორტსმენს სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული მედლების დაბრუნება მოსთხოვა. დისკვალიფიცირებულთა შორის არიან

ის ათლეტები და გუნდურ სახეობებში მათი პარტნიორები, რომელთა მხრიდან ანტი-სადოპინგო წესების დარღვევა დაადასტურა ლოზანის სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ (CAS).

შერისხულთა შორის ორი ოქროსმედალოსანია – ბობსლეისტები ალექსანდრ ზუბკოვი და ალექსეი ვოევოდა, რომლებიც ორ და ოთხადგილიანი ბობებით ასპარეზობდნენ. აქედან გამომდინარე, მედლების დაბრუნება მოუწევს კიდევ ორ მათ თანაგუნდელს – დმიტრი ტრუნენკოვსა და ალექსეი ნეგოდაილოს.

CAS-მა წლის დასაწყისში ნაწილობრივად დააკმაყოფილა 11 რუსი სპორტსმენის აპელაცია, რომლებიც ასაჩივრებდნენ IOC-ის მხრიდან ოლიმპიადებიდან სამუდამოდ მოკვეთას და 2014 წლის თამაშების შედეგების გაუქმებას. შედეგად, სპორტის საარბიტრაჟო სასამართლომ ოლიმპიადებიდან სამუდამო მოკვეთა შეცვალა პიონჩანგი-2018-ზე მათი არდაშვებით, თუმცა, სოჭის ოლიმპიადის შედეგების ანულირება ძალაში დატოვა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ტულიდან – ევროპამდე

თუკი ვინმეზე შეიძლება ვთქვათ, რომ წარმატებული რუსი მოდელია, უპირველესად ყოფილი სპორტული ტანმოვარჯიშე მარია ნოვოსელოვაა, რომელიც დღეს საფრანგეთში მოღვაწეობს და მთელს ევროპაში „ყვითელი“ მედიისა და ბულვარული ჟურნალების მთავარი საკბილოა.

ტულაში დაბადებული და გაზრდილი მარია მთელი ბავშვობის განმავლობაში ტანმოვარჯიშეობაზე ოცნებოდა, თუმცა, როდესაც ჯერ კიდევ 16 წლის გოგონას იტალიურმა ფირმა „გუჩიმ“ კონტრაქტი დაუდო, ნოვოსელოვა მიხვდა, რომ მისი საქმე სწორედ მოდელობა იყო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მარია ნოვოსელოვა დღეს პარიზში ცხოვრობს და მოღვაწეობს, თუმცა, ჩვენებებსა თუ მიღებებზე მთელს მსოფლიოს არტყამს წრეებს და რა გასაკვირია, აშშ-შიც მეტად მიღებული რომ იქნება. ერთი ისაა, რომ ევროპის გარეთ მაღალ მოდას ალმაცერად უყურებს და ტულაში გაზრდილი გოგონასაგან ეს ცოტა ღიმილისმომგვრელია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ლეგიონერი

უმუშევრად არ დარჩება

„კრასნოდარის“ უკვე ყოფილი ფეხბურთელის თორნიკე ოქრიაშვილის აგენტმა თეიმურაზ ლეპსაიამ ჟურნალისტებს საქართველოს ნაკრების ლიდერის კლუბიდან წამოსვლის მიზეზებზე ესაუბრა.

„ეს ორმხრივი გადაწყვეტილება გახლდათ. ოქრიაშვილს არ აკმაყოფილებდა ის სათამაშო დრო, რომელსაც გუნდში აძლევდნენ. მადლობლები ვართ კლუბის ხელმძღვანელებისა, რომლებიც გაგებით მოეკიდნენ შექმნილ სიტუაციას.

ოქრიაშვილმა ბევრი სიკეთე მოუტანა გუნდს. ასევე აღსანიშნავია ემოციური მომენტებიც. მარტო „ზენიტთან“ და „სევილიასთან“ გატანილი მისი ფანტასტიკური გოლები რად ღირს.

ახლა თორნიკე შვებულებაშია, ჩვენ კი მისი საქმეებით ვართ დაკავებულნი. ცხადია, მას შეთავაზებები აქვს რუსული და ევროპული კლუბებიდანაც. ოქრიაშვილი ამბიციური ფეხბურთელია და უმუშევრად არ დარჩება.“ – განუცხადა ლეპსაიამ Sport24-ს.

გიორგი ზოთაძე

◎ არდავიწყება

პეტრიაშვილები

ზესტაფონის სპორტულ ისტორიაში მრავლად იყვნენ ფეხბურთელები, რომლებმაც თავიანთი წარმატებული თამაშით სახელი გაუთქვეს ჩვენს ქალაქს. მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი გურამ პეტრიაშვილის განვლილ საფეხბურთო კარიერას უკავია, რომელმაც 19 წლის ასაკიდან მოყოლებული, ქვეყნის უმთავრესი და ყველა დამწყები ფეხბურთელის საოცნებო გუნდის თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში 11 წლის (1960-1971) განმავლობაში ღირსეული თამაშით დაამახსოვრა თავი ქართველ გულშემატკივრებს. იგი სამართლიანად ატარებდა ლეგენდარული „ოქროს ბიჭის“ სახელს, რომლებმაც შორეული 1964 წლის 18 ნოემბერს ტაშკენტში ტრიუმფალური გამარჯვებით მოიპოვეს დიდი ხნის ნანატრი ჩემპიონის ტიტული.

საფეხბურთო კარიერის დამთავრების შემდეგ გურამ პეტრიაშვილი ისევ საფეხბურთო წრეებში ტრიალებდა, ხშირად მონაწილეობდა ვეტერანთა ეგიდით ჩატარებულ საქველმოქმედო თუ სხვადასხვა სახის ტურნირებში. 2002 წელს ბატონი გურამი ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა და 61 წლის ასაკში ნაადრევად გადასახლდა ზეციურ საქართველოში.

ვინ იფიქრებდა, რომ 13 წლის შემდეგ პეტრიაშვილების ოჯახს დიდი ტრაგედია კვლავ შეახსენებდა თავს, 2015 წლის 21 დეკემბრის დილას მთელი საქართველო შეძრა გამოგნებელმა ინფორმაციამ – ბატონი გურამის ვაჟმა დავით პეტრიაშვილმა მამის ხვედრი გაიზიარა და ისიც ავტოსაგზაო შემთხვევის მსხვერპლი გახდა. იგი ძალიან ნაადრევად – 47 წლის ასაკში დაემშვიდობა ოჯახს და აურაცხელ სამეგობროს. მისი გარდაცვალება შოკისმომგვრელი გახლდათ არამარტო საქართველოსთვის, არამედ დიდი ევროპული საფეხბურთო ოჯახისათვის, რომელიც დავით პეტრიაშვილმა ერთი ამოსუნთქვით და წარმატებული საქმიანობით „დაიპყრო“. რა თქმა უნდა, ყველა ქართველისათვის საამაყო იყო ის ფაქტი, რომ ჩვენი კაცი გვყავდა უეფაში. იგი ხომ ქართული ფეხბურთის გვერდში დგომით გამორჩეული პიროვნება გახლდათ. ამის დასტურად ერთ ფაქტს მოვიყვან: 2018 წლის ოქტომბერში რუსთავში საფეხბურთო აკადემიის გახსნაზე სტუმრად მყოფმა უეფას მაღალჩინოსანმა, ეროვნული ასოციაციების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ტიერი ფავრმა უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობის გაღრმავებაში დავით პეტრიაშვილის შეტანილი წვლილიც გაიხსენა და განსაკუთრებით აღნიშნა აკადემიის დაარსებაში დავით პეტრიაშვილის დამსახურება.

მის დაკრძალვაზე სამეგობრომ და უეფას ვიცე-პრეზიდენტმა, უკრაინელმა გრიგორი სურკისმა დიდი სინანულით ისაუბრეს ბატონი დავითის ხანმოკლე, მაგრამ წარმატებულ საქმიანობაზე ევროპის უმაღლეს საფეხბურთო სტრუქტურაში. რა გასაკვირია, რომ მისი გარდაცვალება დიდი დანაკლისია მთელი საქართველოსა და ჩვენი ქალაქისათვის, სადაც დავითის მამამ გურამ პეტრიაშვილმა პირველი ნაბიჯები გადადგა დიდ ფეხბურთში.

საქართველოს წლევანდელი საფეხბურთო ჩემპიონატის პირველადგილოსნის „საბურთალოს“ პრეზიდენტმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა გუნდის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში განსაკუთრებულად მიანიშნა აწგარდაცვლილი ქართლოს ჭუმბურიძისა და დავით პეტრიაშვილის ღვაწლზე. ჩემპიონის რანგში „საბურთალომ“ სპეციალურწარწერიანი მაისურებით ითამაშა, მაისურს კი ამშვენებდა წარწერა: „მადლობა ქართლოსს და მადლობა პეტროს“.

ვუსამძიმრებ მამა-შვილის გურამ და დავით პეტრიაშვილების ოჯახის წევრებს დიდ დანაკლისს. ზესტაფონი არასოდეს დაივიწყებს მათ ხსოვნას, მათი სახელები კი წინწამძღვარებული ლამპარი იქნება ქვეყნისა და ქართული ფეხბურთის წინაშე. ღმერთს შევთხოვთ, რომ თქვენმა სულებმა ზეციურ საუფლოში დაივანონ მარადჟამიერ.

ნათელი და სანთელი თქვენს ხსოვნას.

გეჟან ჩხეიძე

სამართალი, როგელსაც 14 წელი ელოდნენ

თბილისის საქალაქო სასამართლომ ბუტა რობაქიძის საქმეზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები — ირაკლი ფირცხალავა, გურამ დონაძე, ზაზა ბაქრაძე, ზურა მიქაძე და დავით იაშვილი დამნაშავედ ცნო.

გურამ დონაძეს სასჯელის სახით განესაზღვრა 5 წლით და 3 თვით ვადით თავისუფლების აღკვეთა და აეკრძალა თანამდებობის დაკავება 2 წლით და 3 თვის ვადით; დავით იაშვილს სასჯელის სახით განესაზღვრა 5 წლის და 3 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავება 2 წლით და 3 თვის ვადით; ზურა მიქაძეს სასჯელის სახით 6 წელი და 3 თვის თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა და თანამდებობის დაკავება 2 წლით და 3 თვის ვადით; ირაკლი ფირცხალავას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთა 5 წლით და 3 თვის ვადით და 2 წლით და 3 თვის ვადით სახელმწიფო თანამდებობის დაკავება აეკრძალა.

რაც შეეხება ზაზა ბაქრაძეს, მას საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა და სასჯელის სახით განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 4 წლითა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით და 2 წლით ჩამოერთვა თანადებობის დაკავების უფლება.

„მე 14 წელია, ვიბრძვი სამართლიანობისთვის, მინდა დღევანდელი დღე მივულოცო საზოგადოებას, მე ვთვლი, რომ დღეიდან დაიწყო სამართლიანობის აღდგენის პროცესი“, — განაცხადა ია მეტრეველმა საქალაქო სასამართლოს სხდომის შემდეგ, სადაც მისი შვილის საქმეზე განაჩენი გამოცხადდა და შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნები მოსამართლემ დამნაშავედ ცნო.

„დიდი მადლობა მინდა, ვუთხრა მოსამართლეს, ნამდვილად სამართლიანი გადაწყვეტილების გამო. ჩემთვის გაუგებარია აქ რაც მოაწყეს — ეს წივილ-კივილი, ნეტა ჩემი შვილიც ცოცხალი იყოს, ხუთი წელი კი არა ოცი წელი ჰქონდეს მისჯილი“, — განაცხადა ია მეტრეველმა სასამართლო სხდომის შემდეგ.

„14 წელია ტვინში სისხლი მაქვს ამ ხალხისგან ჩაქცეული. ეს გარეწრები წავიდნენ ციხეში და უნდა იყვნენ ციხეში. უნდა ჩალპნენ იქ. დიდი მადლობელი ვარ პროკურორების, მოსამართლის, რომელმაც ობიექტური განაჩენი გამოიტანა“, — განაცხადა სოსო რობაქიძემ.

ეს, გაიხსენეთ!..

გსურთ საკუთარი მეხსიერების შემოწმება? ამაში მარტივი ტესტი დაგეხმარებათ: აიღეთ ქაღალდის ფურცელი და ერთ წუთში რაც შეიძლება მეტი არსებითი სახელი ჩამოწერეთ ასო „ს“-ზე, მომდევნო წუთში კი რაც შეიძლება მეტი ცხოველი გაიხსენეთ (ცხადია, ნებისმიერ ასოზე).



ნორმალური მეხსიერების მქონე კაცმა „ს“ ასოზე არანაკლებ 12 არსებითი სახელი და 15 ცხოველის გახსენება უნდა შეძლოს.

თუკი ატყობთ, რომ ძველებურად კარგი მეხსიერება აღარ გაქვთ, გული არ გაიტეხოთ, რადგან მისი აღდგენა რამდენიმე მარტივი ვარჯიშით შეიძლება:

— ლოგიკური ამოცანების ამოხსნა. ესენია კროსვორდები, სკანვორდები, სუდოკუ, პაზლების აწყობა, ანუ ყველაფერი იმის გაკეთება, რაც თავის ტვინს დამახსოვრებას, გახსენებას, ფიქრს და მუშაობას აიძულებს;

— მუშა მეხსიერების ტრენინგი. უკუღმა ჩამოთვალეთ კვირის დღეები, წლის დროები და თვეები;

— მუშაობის დროს შესვენება. საშინაო საქმეების კეთებისას საჭიროა საათში ერთხელ პატარა შესვენების გაკეთება. შეგიძლიათ ოთახში გაიარ-გამოიაროთ, მსუბუქი ფიზიკური ვარჯიში გააკეთოთ. ასევე კარგია ერთი სახეობის საქმიანობიდან მეორეზე გადართვა, რაც თქვენი შრომის პროდუქტიულობას გაზრდის;

— ორგანაიზერი. ამჟამად მაღაზიებში უამრავი სხვადასხვა სახეობის ბლოკნოტი იყიდება, ამიტომ არჩევანი დიდია. შეგიძლიათ, მასში ჩაინიშნოთ თქვენთვის მნიშვნელოვანი თარიღები და საქმეები, რაც გონების განტვირთვაში დაგეხმარებათ;

— წიგნის კითხვა. კითხვის დროს მარტო მხედველობითი კი არა, არამედ მოტორული მეხსიერებაც მუშაობს. ვითარდება ასოციაციური, ლოგიკური და აბსტრაქტული აზროვნება. ამასთან, მნიშვნელოვანია ტექსტის არა უბრალოდ წაკითხვა, არამედ ამის სწორად გაკეთება, წაკითხულის მოყოლა. კითხვის დროს სარგებლის მომტანია გმირების ხასიათის წვრილმანების, მათი ჩვევების აღნიშვნა. წიგნის წაკითხვის შემდეგ კი ეცადეთ, მისი სიუჟეტის ყველა ხაზი გაიხსენოთ, რაც მეხსიერების გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ;

— დეტალებზე ყურადღების მიქცევა: მეხსიერების გასაუმჯობესებლად კარგია, თუკი ყურადღებით ყოფნას ისწავლით. საამისოდ თქვენს მიერ შერჩეული საგნის ყველა წვრილმანს დააკვირდით, შემდეგ კი მეხსიერებაში მათი აღდგენა სცადეთ და ეს მოქმედება ჩვევად აქციეთ;

— ლექსების დაზეპირება. შეარჩიეთ თქვენი საყვარელი პოეტის ლექსები, დაიზეპირეთ და დროდადრო ზეპირად გაიმეორეთ;

— მუსიკის მეცადინეობა. ხანდაზმულ ასაკში სასარგებლოა სოლო ან გუნდში სიმღერა, რომელიმე მუსიკალურ საკრავზე დაკვრის შესწავლა. ყოველივე ეს მეხსიერებაზე კარგად მოქმედებს;

პოზიტიური განწყობა კი, ზოგადად, ყველაფერზე, მათ შორის მეხსიერებაზეც კარგად მოქმედებს. გახსოვდეთ, რომ სიბერეში ცხოვრება არ მთავრდება — ის შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილთა წარმატებებით გახარების მშვენიერი ხანაა!

ნინო ალექსანდრია

საკვები... კიბოს წინააღმდეგ

გერმანელმა მეცნიერებმა გაშიფრეს მექანიზმი, რომლის წყალობით ნიგოზი კიბოსგან გვიცავს. გარდა ამისა, არის კიდევ ბევრი სურსათი, რომელიც ხელს უშლის ამ სენის წარმოშობს.

სხვადასხვა სახეობის სურსათს რეალურად შეუძლია კიბოს განვითარების გამკლავება. დღესდღეობით მეტად აუარება სერიოზული სამეცნიერო მასალაა დაგროვილი, რომელიც კვების მეშვეობით კიბოს პროფილაქტიკას ეხება. მეტიც, **მათთვის, ვისაც ავთვისებიან სიმსივნეთა კონკრეტული სახეობების განვითარების მაღალი რისკი აძვთ, დაცვის კონკრეტული ხერხები არსებობს.** ზოგადად კი, კიბოთი დაავადებათა ყველა შემთხვევის 35 პროცენტი — გაცილებით მეტი, ვიდრე სხვა რისკ-ფაქტორებთან (ცხოვრების ნირთან, თამბაქოს მოწევასთან, მემკვიდრეობითობასთან, ეკოლოგიასთან და სხვ.) დაკავშირებული, კვების გამო წარმოიშვება. ყველა ამ ადამიანს სწორად რომ ეკვება, კიბოთი დაავადებათა რიცხოვნობა მესამედით შემცირდებოდა.

მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთი რამ შეუძლებელია, რასაც ასეთი მარტივი მაგალითი მოწმობს: **50 გრამი შებოლილი ძეხვის ჭამით კაცი იმდენივე კანცეროგენს იღებს, რამდენსაც ერთი კოლოფი სიგარეტის მოწევით მიიღებდა(!)**

აქედან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა არა მარტო შებოლილი სურსათის, არამედ მთელი გადამუშავებული ხორცეულის (ნებისმიერი ძეხვეულის, სოსისისა და სხვა) აკრძალვა, რომელიც ხელს უწყობს კიბოს განვითარებას. სხვათა შორის, მთელ რიგ ევროპულ ქვეყანაში ამ სახეობის სურსათი თითქმის არ იყიდება. ზოგადად კი, გადაუმუშავებელი სურსათი გაცილებით უფრო სასარგებლოა. კიბოს შესწავლის მსოფლიო ფონდის რეკომენდაციებში ამის თაობაზე პირდაპირაა ნათქვამი.

ყველაზე მთავარ როლს კიბოს პროფილაქტიკაში ასრულებს მცენარეული სურსათი, რომელიც ბევრ ანტიოქსიდანტს შეიცავს. ისინი უჯრედებში მუტაციების გამომწვევ თავისუფალ აგრესიულ რადიკალებს ანეიტრალებენ, რომლებიც კიბოს განვითარებას იწვევენ. ამის გარდა, მთელ რიგ ანტიოქსიდანტს სპეციფიკური კიბოს საწინააღმდეგო მოქმედება აქვს. მაგალითად, ლიკოპინი, რომელსაც პომიდორი შეიცავს, პროსტატაში გროვდება და მას კიბოსგან იცავს. კიბოს უჯრედებს ანადგურებს რამდენინმე ნივთიერება, რომლებიც კომბოსტო, ბოლოკი, სტაფილო შეიცავს, ასეთივე მოქმედება აქვს რესვერატროლს, რომელიც საკმაო ოდენობითაა შავ ღვინოში. კიბოს საწინააღმდეგო ეფექტი აქვს ნიორს, რომელიც დღის მანძილზე ერთი თავი უნდა შეიჭამოს.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია ყოველდღიურად 400 გრამი ბოსტნეულის, ხილისა და კენკრის ჭამა — მომზადებული იქნება ის თუ უმი, თუმცა კი გაცილებით ოპტიმალური იქნება ერთი კილოგრამის ულუფის მირთმევა.

დალი ხუნდაძე

იქნებ, წელს მაინც დაგვასვენოს გამაყრუებელმა ხმაურმა?!

იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მეორე მოსმენისთვის განიხილა კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელიც სხდომაზე განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა წარადგინა.

ცვლილებების თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება 1561 მუხლი „პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა“, რომლითაც ასეთი ნაკეთობის არასრულწლოვანისათვის მიყიდვა გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარით, ხოლო იურიდიული პირის — 200 ლარით.

კომიტეტის წევრებმა მხარი დაუჭირეს კანონპროექტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

13 დეკემბერს გამართულ კომიტეტის სხდომაზე პარლამენტის განათლების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარემ მარიამ ჯაშმა განაცხადა, პიროტექნიკის გამოყენების გამო, მხოლოდ 2018 წლის 2 იანვრისთვის 44 ტრავმატიზმის შემთხვევა იყო დაფიქსირებული, მათ შორის, 24 ბავშვებში.

სადღეისო სათრეველები

ამსტერდამიდან შეკვეთილი და ველის-ციხესთან ჩაშლილი ველური კლოუნადიდან

ნიღაბი თვითმარქვიისა

რუსის პროდუქტმა გონებით,
სიცრუითა და ჭორებით,
კრემლის მოვლენილ შვიდკაცით
და „ცოცხოსანთა“ სიმკაცრით,
კოჭებზე როგორც ეტყობა,
რაკი წუნწუხში შეტოპა,
მყისვე მოუხმეს სამარშოდ
და მორგებულად თამაშობს
წაგებულ პრეზიდენტობას!

ჭიჭყინა მელია

კლოუნადის აქტიური „ვოჟაკი“

რადგან გახდა ცრუ და ფლიდი
და აივსო ჯიგე ქვეგით,
ყველა სახელს შევუცვლიდი
და ჭიჭყინას შევარქმევდი!

ეგებ ისევ დაგვიხსნას?!

„სირცხვილისგან დაგვიხსნა ინაშვილმა ირმამ!“

ემზარ კვიტაიშვილი

მოემატათ ნაცებს მადა
და კახეთში კლოუნადა
გაგვიმართეს შინ....აშლის;
ამის პასუხს რა უნდოდა?
რომ გავთვალოთ რა უნდა და,
ვკითხოთ ირმა ინაშვილს!

ბატონ ირაკლი კობახიძეს

პარლამენტში ძევს ხუთასი-ათასი ხელმომწერის მოთხოვნა, რომ კანონგარეშედ გამოცხადდეს ნაციონალური პარტია

გაბოროტდნენ და გავეშდნენ
და ხელი რომ არ ამქავდეს,
ნაცმკვლელებს კანონგარეშედ
რად არ აცხადებთ აქამდე?
რომ ვეღარასდროს შემორჩეს
ქვეყანას ვინმე ტირანად,
ხუთასი-ათას ხელმომწერს
მეც ვუერთდები პირადად!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

სანტა კლაუსი ლაპლანდიიდან მიმართვას ავრცელებს

შობამდე ერთი კვირით ადრე ლაპლანდიაში სანტა კლაუსის სოფელში ცხოვრება დუღს.

„აქ ძალიან დატვირთული დრო გვაქვს. ჩვენ გვყავს უამრავი სტუმარი მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რომლებიც აქ სანტას სანახავად და მისთვის საშობაო სურვილების გადასაცემად არიან ჩამოსულები“, — განუცხადა როიტერს სანტას სოფლის ფოსტალიონმა ელფმა ელინამ. როვანიემის ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი ტურისტი სტუმრობს. 1985 წლიდან სანტამ 15 მილიონი წერილი მიიღო 198 ქვეყნიდან.

„ელფები ახლა დაკავებულები არიან წერილების დახარისხებით, გახსნით და სურვილების წაკითხვით.“ — ამბობს ელფი ელინა.

სანტა კლაუსის თქმით, მისთვის გაგზავნილ წერილებში საშობაო სურვილები ძალიან დადებითია.

„მე ვფიქრობ, ძალიან კარგი სურვილები და კარგი შეტყობინებებია. ბავშვები, მაგალითად, ითხოვენ მშობლების და ოჯახის წევრების ჯანმრთელობას და ბედნიერებას, ასევე იმას, რომ მე მსოფლიოში ყველა ადამიანი მახსოვდეს.“ — ამბობს სანტა და დედამიწის მოსახლეობას მიმართავს.

„თქვენ იცით, რომ მე ვაფასებ ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სიკეთე, სიხარული, მეგობრობა და ბუნების სიყვარული. ჩვენი მეგობარი ბუნება საფრთხეშია და ჩვენ ყველას შეგვიძლია მას საჩუქარი გავუკეთოთ და დავეხმაროთ, გისურვებთ ბედნიერ შობას!“ — აცხადებს სანტა.

ვატიკანში საოცარი სკულპტურები გაიხსნა

ვატიკანში, წმ. პეტრეს მოედანზე საშობაო სცენების ამსახველი ქვიშის გიგანტური სკულპტურა გაიხსნა.

სკულპტურაზე გამოქანდაკებულია იესო ქრისტეს შობის ყველა პერსონაჟი. სკულპტურა 720 ტონას იწონის და იგი 5,5 მეტრი სიმაღლისაა. ქვიშა, რომელიც ვენეციიდან ჩამოიტანეს, წყალში აურიეს, დაპრესეს და მათგან ბლოკები დაამზადეს. სკულპტურა ვატიკანის მღვდელმსახურებმა აკურთხეს და პარალელურად საშობაო ნაძვის ხეც აანთეს.

სტივენ სპილბერგი 72 წლისაა

სტივენ სპილბერგი 72 წლის გახდა. სამგზის ოსკარით დაჯილდოებული ამერიკელი კინორეჟისორი და პროდიუსერი სტივენ ალან სპილბერგი 1946 წლის 18 დეკემბერს დაიბადა — ყველა დროის ყველაზე ფინანსურად წარმატებული კინოპროდიუსერი. შექმნილი აქვს მრავალი კინოგაქირავების ჰიტი, რომელმაც მას დიდი გავლენა მოუხვეჭა ჰოლივუდში. 2006 წლისთვის პრესაში მას მოიხსენიებდნენ როგორც ყველაზე გავლენიან ფიგურად კინოინდუსტრიაში, ხოლო მე-20 საუკუნის ბოლოს ჟურნალმა Life იგი თაობის ყველაზე გავლენიან პიროვნებად დაასახელა.

ბრედ პიტი 55 წლის გახდა

ცნობილი ამერიკელი მსახიობი და პროდიუსერი უილიამ ბრედლი „ბრედ“ პიტი 1963 წლის 18 დეკემბერს დაიბადა. ბრედ პიტი პოპულარული გახდა 1990-იან წლებში, როდესაც რამდენიმე ჰოლივუდურ ფილმში მიიღო მონაწილეობა. მას 1995 წელს შესრულებული მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში „თორმეტი მაიმუნი“ მიეკუთვნა ოქროს გლობუსის ჯილდო და ოსკარის ნომინაცია. პიტი მედიის მიერ აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი მამაკაცი.

მისი წინანდელი ქორწინებები ჯენიფერ ენისტონთან და ანჯელინა ჯოლისთან მსოფლიოს მედიის მიერ ფართოდ შუქდება. პიტს ჯოლისთან ჰყავს ექვსი შვილი, აქედან სამი ბიოლოგიური. ჯოლისთან ურთიერთობის შემდეგ, რომელიც ცნობილი არის თავისი ქველმოქმედებით, პიტი უფრო მეტად ჩაერთო სოციალურ საქმეებში.

კრისტინა აგილერა კი - 38 წლის

კრისტინა აგილერა 38 წლის გახდა. ცნობილი ამერიკელი პოპ მომღერალი და ტექსტების ავტორი კრისტინა მარია აგილერა 1980 წლის 18 დეკემბერს დაიბადა.

აგილერა პოპულარული მისი სადებიუტო ალბომის, 1999 წლის Christina Aguilera-ს გამოშვების შემდეგ გახდა, რომელიც კრიტიკოსების შეფასების და კომერციული თვალსაზრისით, წარმატებული იყო. ლათინური პოპ მუსიკის სტილში შესრულებული ალბომი Mi Reflejo და საშობაო ალბომი — My Kind of Christmas, რომლებიც იმავე პერიოდში მიმდევრობით გამოვიდა, ასევე საკმაოდ კარგად გაიყიდა.

კრისტინას თქმით, იგი მღერის დაბადებიდან. ბავშვობაში მომავალი მომღერალი ხშირად იკეტებოდა სააბაზანოში და ხელში შამპუნის კოლოფით ხშირად მღეროდა, ასევე სახლთან ახლოს, პატარა სცენაზე მართავდა წარმოდგენებს მეზობლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6656; ევრო - 3.0220;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3613
100 რუბლი - 4.0048; თურქული ლირა - 0.4953;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5720;
1000 სომხური დრამი - 5.4972.

ამინდი 19 დეკემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე -3, დღე +8
მთიანი რაიონები - ღამე -6, დღე +8
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +4, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +12
თბილისი: ღამე +2, დღე +6

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge